ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## საქართველოში 10-დან ერთი მოქალაქე ემიგრაციაზე ფიქრობს

გვ.3



გვ.4



ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კომფორტულად ცხოვრებისთვის ყოველთვიურად 3 ათას ლარზე მეტი შემოსავალია საჭირო“

სამშაბათი, 12 დეკემბერი, 2023 №244 (9280) ფასი: 80 თეთრი

# „ნაციონალებში კეზერაშვილის არაფორმალურმა მმართველობამ არ გაამართლა“

გვ.2




ბაჩო დოლიძე: „სააკაშვილის პოზიცია გამოკვეთილია. ის ცალსახად გვერდში ახალ მენეჯმენტს უდგას“





გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ვინ იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი 10 პროცენტით გაიზრდებოდა... ადამიანებში ძალიან მაღალია უიმედობის განცდა. მოსახლეობა სხვა საყრდენს ვერ ხედავს, გარდა ხელისუფლებისა“

# „გადაწყვეტილია, 15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!

## „ზურაბიშვილი კულისებს მიღმა მუშაობდა, სტატუსი რომ არ მიგვეღო“

გვ.3





ამირან სალუქვაძე: „ხელისუფლებას ყველაფერი გარეთ არ გამოაქვს. ჯენტლმენურად ექცევიან პრეზიდენტს, რასაც არ იმსახურებს“

## მთავრობამ 2024-2027 წლების მოქმედების გეგმა დაამტკიცა

გვ.3





გვ.4

## რით ემსგავსება რუსეთი ირანს?

„ერთპოლარული მსოფლიოს შესახებ პროგნოზი არ გამართლდა... მოხდა ომი საქართველოში“

## ამერიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს



გვ.5

როგორ იქცა ქართველი პაპაშვილის რომანი ამერიკულ ბესტსელერად

## მამარდაშვილი რეალსა და სამ ინგლისურ კლუბს სურს

გვ.7




## აშშ-მ გაეროს რეზოლუციას ვეტო დაადო

გვ.6



4 2023 წელს სტატუსი 36.295 სტუდენტმა შეიჩერა

3 კერძო და საჯარო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა მოუწევთ

5 ხალხური მედიცინის საგანძურიდან

6 ზეიმის დროს ერთი ოჯახის 11 წევრს მეხი დაეცა

# „ნაციონალებში კეზერაშვილის არაფორმალურმა მმართველობამ არ გაამართლა“

## ბაჩო დოლიძე: „სააკაშვილის პოზიცია გამოკვეთილია. ის ცალსახად გვერდში ახალ მენეჯმენტს უდგას“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი ბაჩო დოლიძე პასუხობს.

***– ბაჩო, ნიკა მელიას შემდეგ, პარტია ნაციონალური მოძრაობა თქვენც დატოვეთ. რა ხდება პარტიაში და რამ მიგაღებინათ ეს გადაწყვეტილება? სულ ვისმენდით შეფასებებს, რომ ნიკა მელია თავისი გუნდით აუცილებლად წავიდოდა და ასეც მოხდა.***

– პირველ რიგში, გამომდინარე შექმნილი მდგომარეობიდან, სადაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო იმ პოლიტიკის კეთება, რომელიც მოგვიტანდა იმ რეზულტატს, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ დამარცხება იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ ამ ვითარების არსებობამ გამოიწვია ჩვენი კონკრეტული ნაბიჯები. როდესაც დავინახეთ, რომ არარეალისტური იყო შედეგის დადება, ამ დროს ჩვენ ვიფიქრეთ ალტერნატიულ გზაზე. ასე რომ, ეს ყველაფერი, რაც ხდება, უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ერთს, რომ ჩვენ და არა მარტო ჩვენ, შევქმნით ახალ პლატფორმას, სადაც ძალიან ბევრი ახალი სახე იქნება. ასევე იქნებიან გამოცდილი პოლიტიკოსები, რომელთან ერთადაც ჩვენს ამომრჩეველს შევთავაზებთ რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკას, ახალ პოლიტიკას, რომელიც მოიტანს იმ შედეგს, რომელის შედეგითაც, 2024 წელს „ქართული ოცნება“ ჩვენ არ გვეყოლება ხელისუფლებაში.

***– ძალიან ბევრი ადამიანი ტოვებს პარტიას, სამეგრელო, ბათუმი, თბილისი, ახლა ქუთაისიც. 300-400 ადამიანზეა მინიმუმ თითო ქალაქიდან საუბარი. ბოლოს, მარტო ხაბეიშვილი ხომ არ დარჩება ნაციონალურ მოძრაობაში?***

– ამასთან დაკავშირებით ცოტა ადრე უნდა ეფიქრა პარტიის მენეჯმენტს. მე ნამდვილად არ ვითვლი ადამიანებს, ვინ რამდენი მოდის. ეს არ არის წამოსვლა, პირიქით, ჩვენ შევდივართ ახალ პოლიტიკურ ფაზაში! რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მეგობრების ჩვენ გვერდში დგომა.

***– ანუ ყველანი ერთად იქნებით? ისინიც, ვინც პარტიიდან მოდიან?***

– რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით და უფრო და უფრო წინ წავალთ. ჩვენ აუცილებლად შევიტანთ ჩვენს დიდ წვლილს იმ საქმეში, რომელსაც ჰქვია ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება.

***– ვინც თქვენზე ადრე დატოვა პარტია, ვგულისხმობ ხატია დეკანოიძეს, რომან გოცირიძეს, საუბარია, რომ მოხდება თქვენთან გაერთიანება. ამაზე რას იტყვით?***

– მხოლოდ და მხოლოდ გამიხარდება. ჩვენ გვაქვს ერთმანეთთან კომუნიკაცია, როდესაც დასრულდება კონსულტაცია, ამის შემდეგ თითოეული ადამიანი მიიღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას. მე მხოლოდ და მხოლოდ მოხარული ვარ ნებისმიერი ადამიანის შემოერთების. დაველოდოთ, კონსულტაციები გაგრძელდება. ჩვენ შევთავაზებთ საზოგადოებას ძალიან ბევრ ახალ სახეს. ასევე გამოცდილ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც თავის სიტყვას იტყვიან ამ დიდ ბრძოლაში.

***– როდის იგეგმება პარტიის დაფუძნება?***

– ჩვენ უკვე ვიწყებთ მომზადებას პოლიტიკური პარტიის დასაფუძნებლად. რაც არის საჭირო და როგორც არის, ყველა ნაბიჯი იქნება გადადგმული. მე მგონია, რომ სადღაც ახალი წლის შემდეგ, ჩვენ უკვე შევძლებთ როგორც რეგისტრაციას, ასევე ახალი პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას.

***– ნიკა გვარამიასაც ხომ არ ვიხილავთ ნიკა მელიას გვერდით?***

– არ ყოფილა ამ ეტაპზე კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– უკვე გაჩნდა კითხვები ამასთან დაკავშირებით, რადგან გვარამიამაც განაცხადა, რომ პოლიტიკაში მიდის. დაემთხვა დროში ერთმანეთს ეს ყველაფერი.***

– კი გასაგებია, მესმის, თუმცა, კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, მე არ მქონია პირადად. შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით. თუ რამე სიახლე იქნება ამასთან დაკავშირებით, ამას აუცილებლად გაიგებთ.

***– დარჩნენ პარტიაში ისეთი ადამიანები, რომლებიც წამოსვლაზე ფიქრობენ? ელოდებით კიდევ დანარჩენების წამოსვლას?***

– რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ადამიანი იქნება ასეთი. მინდა ყველას სწორად ესმოდეს, ეს ისეთი საკითხია, რომ ვერც ვერავის აიძულებ და ვერც თხოვ, რომ პარტიიდან წამოდი. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან არასწორი. ამიტომ ჩვენი მხრიდან მსგავსი მოწოდება არ იქნება. შესაბამისად, ყველა ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. გამომდინარე იქედან, თუ რა სიტუაციაც არის შექმნილი პარტიაში, ყველა ხედავთ რეზულტატს, ძალიან ბევრი ჩვენი თანამებრძოლი იღებს გადაწყვეტილებას და გვიერთდება ბრძოლაში, რომელიც აუცილებლად დადებს შედეგს.

***– ბაჩო, ძალიან საინტერესოა მიხეილ სააკაშვილის პოზიცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით. თუ ჰქონდა ნიკა მელიას მასთან კონსულტაცია? სულ ვისმენდით კულუარულ ამბებს, რომ სწორედ ამიტომ აჭიანურებს მელია წამოსვლას, მიშასთან კონსულტაციას და მის პასუხს ელისო. რამდენად ადასტურებთ ამას? როგორია მიშას პოზიცია?***

– დღეს არ არის მიხეილ სააკაშვილი ისეთ მდგომარეობაში, სადაც კონსულტაციები შესაძლებელი. შეიძლება ინფორმირება რაღაც საკითხთან დაკავშირებით და შემდგომ აზრის დაბრუნება ხერხდებოდეს, მაგრამ კონსულტაციის რეჟიმში ნამდვილად ვერ ვიქნებოდით. მე არ ვიცი კიდევ დამატებით ჰქონდა თუ არა კომუნიკაცია.

***– ვის მხარესაა სააკაშვილი? ბევრი მიიჩნევს, რომ კიდევ არაა საბოლოოდ გამოკვეთილი მისი პოზიცია.***

– მე ვფიქრობ, რომ გამოკვეთილია. ის ცალსახად გვერდში უდგას ახალ მენეჯმენტს და აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია მას იმ პირობებში, რა პირობებშიც ახლა არის. მათ შორის განცხადებებში და დამოკიდებულებაშიც იგრძნობა, რომ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, დღეს ახალი მენეჯმენტის გვერდით დგას.

***– საკმაოდ შერყეულია დღეს ნაცმოძრაობის იმიჯი და რეპუტაცია, დაშლილია პარტია, რამდენად უშველით თუნდაც სააკაშვილის სახელი?***

– ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ნაციონალური მოძრაობისთვის. მართლაც არ არის მარტივ მდგომარეობაში ნაციონალური მოძრაობა, თუმცა, ეს იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში თვითონვე ატარებდა. ჩვენ ბოლომდე იმედს ვიტოვებდით და მუდმივად გამოსავალს ვეძებდით შექმნილი სიტუაციიდან, საჯაროდაც არაერთხელ მოვუწოდეთ, მაგრამ ამაოდ. ვხედავდით, თუ როგორი დამოკიდებულება იყო ჩვენ მიმართ. ახლაც, ბოლო დღეებია, ჩვენ ვხედავთ თუ როგორი კომენტარებია იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც ტოვებენ პარტიას. სწორედ ამ დამოკიდებულების გამო მიიღო ახალმა მენეჯმენტმა ის შედეგი, რომელიც დღეს სახეზეა. არ შეიძლება ადამიანებთან ასეთი ურთიერთობა. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება. ავიწყდებათ, რომ თითოეულ ამ ადამიანზე ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული. ბევრი სტრესი და ზეწოლა განიცადა ნაცმოძრაობის თითოეულმა წევრმა, რომელიც დღეს პარტიიდან წამოვიდა, მთელი ათი წლის განმავლობაში.

***– არაფორმალურმა მმართველობამ პარტიაში არ გაამართლა?***

– როგორც ჩანს, არა. არაფორმალური მმართველობა, ეს არის საბჭოთა მემკვიდრეობა, რომელსაც დღეს საკმაოდ ეფექტურად იყენებს ბიძინა ივანიშვილი. მიუხედავად იმ რესურსისა, რომელიც მას გააჩნია, ეს სრულიად მიუღებელია ჩვენი მოსახლეობისთვის. ეს არ არის ის, რაც ჩვენს მოსახლეობას უნდა. არ ამართლებს ეს არც ბიძინა ივანიშვილის პირობებში და...

***– და არც კეზერაშვილის?***

– დიახ ასეა.

***– ექსპერტებისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე რთული არჩევნები იქნება ოპოზიციისთვისო. რამდენად ხართ მზად ამ არჩევნებისთვის და კოალიციური სახით ხომ არ წარსდგებით, ან ხომ არ მოხდება პარტიათა შერწყმა?***

– შერწყმა ნამდვილად არასწორია, არავისთან შერწყმას არ ვგეგმავთ, ეს ცალსახად ასეა. ჩვენ გვექნება ჩვენი დამოუკიდებელი და განსხვავებული ხაზი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი არჩევანი შევთავაზოთ ჩვენს ამომრჩეველს. ურთულესი არჩევნები იქნება, მაგრამ უმარტივესი არჩევანი.

# „გადაწყვეტილია, 15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!

## ვახტანგ ძაბირაძე: „ვინ იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი 10 პროცენტით გაიზრდებოდა... ადამიანებში ძალიან მაღალია უიმედობის განცდა. მოსახლეობა სხვა საყრდენს ვერ ხედავს, გარდა ხელისუფლებისა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ჟოზეფ ბორელი აცხადებს, რომ კარგი ახალი ამბავია, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის გზაზე წინ მიიწევს. 15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსს მოგვცემენ?***

– ფაქტობრივად, ეს საკითხი გადაწყვეტილია. უკრაინის თემა გახდა თავად ევროკავშირისთვის პრობლემა. მოგეხსენებათ, უნგრეთმა, უფრო კონკრეტულად კი, ორბანმა უკრაინის საკითხის დაბლოკვა გადაწყვიტა. თუმცა, ევროკავშირი, როგორც ცნობილია, მის გადარწმუნებას ცდილობს. საქართველოს საკითხი კი თითქმის გადაწყვეტილია. ერთადერთი, კენჭისყრა დარჩა. თუ უკრაინასთან ერთად გავიდა ჩვენი საკითხი, ვფიქრობ, მაინც მოგვცემენ. თუ ცალკე ეყრება კენჭი, კანდიდატის სტატუსს მივიღებთ.

***– როგორ ფიქრობთ, ვინ მიიწერს? ხელსაყრელი დროა დიდი პოლიტიკური ქულების ჩასაწერად.***

– რასაკვირველია ის, ვისაც უკეთესი პროპაგანდა აქვს. ცხადია, ხელისუფლება მიიწერს და არა ოპოზიცია, რომელიც საერთოდ აბნეულია დროსა და სივრცეში. ოპოზიცია თუ ასე გააგრძელებს, არჩევნებამდე მისვლაც კი გაუჭირდება. ვინ იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი 10 პროცენტით გაიზრდებოდა.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ გაიზარდა?***

– მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიცია არაფერს აკეთებს. იმიტომ კი არ გაიზარდა, რომ „ოცნება“ კარგი გახდა – არა, ოპოზიცია ვერა და ვერ დალაგდა. ოპოზიცია როგორც არასდროს, ისეა დაბნეული. უსახურად გამოიყურება. ვერა და ვერ მონახეს ის თემები, ის პრობლემები, რომელზეც უნდა აქცენტირდნენ, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს. „რუსული ოცნების“ ძახილით, შორს ვერ წავლენ. ჩვენ ვართ პროდასავლელები და ესენი პრორუსები, ამის ძახილი შედეგს არ მოუტანთ. 15 დეკემბერს ხალხი დაინახავს, რომ ამ „პრორუსებმა“ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღეს. მერე ნულარ იტყვიან, რომ ხალხმა მიიღო და ესენი არაფერ შუაში არიან. ამ პროპაგანდაშიც ვერაფერს გახდებიან. ხელი-

> „ხელისუფლების რეიტინგი გაიზარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიცია არაფერს აკეთებს“



სუფლების რეიტინგი გაიზარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიცია არაფერს აკეთებს. ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებმაც გავლენა იქონია. 10 თვეა ამომრჩეველი გაურკვევლობაშია. როგორ დასრულდებოდა ეს დაპირისპირება, არავინ იცოდა. არავინ იცოდა, ნიკა მელია პარტიას დატოვებდა თუ თავმჯდომარეობას დაიბრუნებდა და დარჩებოდა. ასეთ გაურკვევლობას კარგი არაფერი მოაქვს. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ გუშინ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიზეზი კომპლექსურია.

***– მაინც რა გვიჩვენა ამ კვლევის შედეგებმა?***

– ყველაზე მთავარი, რაც გვიჩვენა, არის ის, რომ ადამიანებში ძალიან მაღალია უიმედობის განცდა. მოსახლეობა სხვა საყრდენს ვერ ხედავს, გარდა ხელისუფლებისა. და კიდევ ერთი, რაც გამოკვეთა, 60 პროცენტი ვერცერთ პოლიტიკურ ძალასთან ვერ ხედავს სიახლოვეს, არცერთი უნდა და არც მეორე. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 60 პროცენტი უნდობლობას უცხადებს არსებულ პოლიტიკურ სპექტრს და სიახლის მოლოდინშია.

***– ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი რეალურ ალტერნატივას ვერ ხედავს?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

## კერძო და საჯარო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა მოუწევთ

ორგანიზაციებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა მოუწევთ. აღნიშნულს გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში შესული ცვლილებები.

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ლიკა კობალაძემ განაცხადა, აღნიშნული ვალდებულება შეეხება კერძო ბიზნესის ნაწილსა და საჯარო დაწესებულებებს.

– პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღება პირდაპირ კავშირშია ევროპულ სტანდარტებთან. ეს არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროკავშირის ზოგადი რეგულაციის მნიშვნელოვანი სტანდარტი.

მონაცემთა დაცვის ოფიცრის ყოლის ვალდებულება ექნება როგორც კერძო კომპანიების ნაწილს, ასევე ყველა საჯარო უწყებას, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებს. კერძო ბიზნესი, ვისაც ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა მოუწევს იგულისხმება: საფინანსო სექტორი (ბანკები, მისოები და ა.შ.), სადაზღვევო სექტორი, სამედიცინო სექტორი, აეროპორტები, ელექტრონული კომუნიკაციის განმახორციელებელი კომპანიები, მობილური ოპერატორები... იმ პირთა წრეს კი, ვისაც არ შეეხება ვალდებულება, ცალკე განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტი, რომელიც დამუშავების პროცესშია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შეიძლება იყოს ორგანიზაციაში უკვე არსებული კადრი ან ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. იგი აუცილებლად უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით და გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პოზიციაზე მყოფი პირი პირდაპირ ექვემდებარებოდეს მმართველ მენეჯმენტს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ თუ ამ ფუნქციას შეითავსებს დაწესებულებაში უკვე სხვა პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი, არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებამოსილების განხორციელებისა და ძირითად უფლებამოსილებებს შორის.

რაც შეეხება მოვალეობებს, ოფიცრის ფუნქციები ძირითადად შემოიფარგლება თავის უწყებაში/დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის ღონისძიებების გატარებით, მეთოდური დახმარების გაწევით, ასევე საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრებით დასაქმებულებთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების შესახებ ინფორმაცია იქნება საჯარო და აიტვირთება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე, – განაცხადა კობალაძემ.

ცნობისთვის, ეს ცვლილება პრაქტიკაში 2024 წლის ივნისიდან ამოქმედდება.

## საქართველოში 10-დან ერთი მოქალაქე ემიგრაციაზე ფიქრობს

საქართველოში დაახლოებით, 10-დან ერთი მოქალაქე ემიგრაციაზე ფიქრობს – ასეთია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ს) გამოკვლევის შედეგები.



ამასთან, კვლევის თანახმად, დაახლოებით, 10-დან ერთ მოქალაქეს ყავს საზღვარგარეთ ოჯახის წევრი, რომელიც ფულს უგზავნის.

აღნიშნული ანგარიში 14 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობით პირისპირი გამოკითხვის შედეგებს ემყარება (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). ოქტომბერში ჩატარებული გამოკითხვა სულ 2,068 დასრულებულ ინტერვიუს მოიცავს. საშუალო ცდომილების ზღვარი კვლევაში +/– 2,2 პროცენტია.

# „ზურაბიშვილი კულისებს მიღმა მუშაობდა, სტატუსი რომ არ მიგვეღო“

### ამირან სალუქვაძე: „ხელისუფლებას ყველაფერი გარეთ არ გამოაქვს. ჯენტლმენურად ექცევიან პრეზიდენტს, რასაც არ იმსახურებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

***– ბატონო ამირან, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების დრო მოახლოვდა. უნგრეთის პრემიერი უკრაინის ევროკავშირში დაჩქარებულ მიღებაზე მოლაპარაკების დაწყებას ეწინააღმდეგება, ჩვენი ოპოზიცია კი აცხადებს, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭებაც გადაიდება, რადგან უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ერთ პაკეტში მოიაზრებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ? ამგვარი განცხადებების ავტორებს რა ინტერესები აქვთ?***

– ოპოზიციას ერთი ინტერესი აქვს, როგორმე საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს და შემდეგ ეს ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში უნგრეთის პრემიერ ორბანს, და ორბანთან „ქართული ოცნების“ არასწორ პოლიტიკას დააბრალებენ.

რატომღაც არ იხსენებენ, რომ ამაზე ხელისუფლებამ უპასუხა – შარშან უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი რომ მიანიჭეს, ჩვენ კი ევროპული პერსპექტივა, მაშინ არავის უთქვამს, რამდენიმე წელი ერთ პაკეტში ვიყავით, როგორც ასოცირების ტრიოს წევრებიო.

მე დავამატებ, ოპოზიციამ შარშან რატომ არ გააპროტესტა და რატომ არ უთხრა ევროპას, ევროკავშირის ლიდერებს, მათ მოკავშირეებს, ევროდეპუტატებს მათი მოკავშირე პარტიებიდან, „ასოცირების ტრიოს“ წევრებიდან საქართველო რატომ გამოაცალკევეთო. შარშან ეს კითხვები რატომ არ დასვეს? ოპოზიცია მხოლოდ თავისი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამოდის – ღიად აქვს გაცხადებული, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მათ არ სურთ სტატუსის მიღება. ახლა აფორიაქდნენ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, როდესაც დაინახეს, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭება რეალობაა.

***– სალომე ზურაბიშვილი შეხვედრებს აწყობს. სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ხვდება. მაშინ პრეზიდენტს რა ინტერესი აქვს? ამბობს, ევროკავშირის წევრობის კანდიდიდატის სტატუსის მიღებას ხელს ვუწყობო.***

– არაფერს ხელს არ უწყობს. პირიქით, რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად მთლიანად საბოტაჟში იყო ჩართული. მისი საგარეო ვიზიტები მხოლოდ და მხოლოდ საბოტაჟს ემსახურებოდა, მეტს არაფერს. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიგვეღო. დანარჩენი ყველაფერი ფორმალური შეფუთვა იყო იმისა, თითქოს ცდილობდა, სტატუსი მიგვეღო. სინამდვილეში კულისებს მიღმა მუშაობდა, სტატუსი არ მიგვეღო. ეს რამდენჯერმე დადასტურდა.

პლუს მთელი მისი განცხადებები, ინტერვიუები მსხვილი ევროპული მსოფლიო სააგენტოებისათვის, რაც ბოლო თვეების განმავლობაში უხვად დაარიგა, საქართველოს ხელისუფლების კრიტიკისკენ იყო მიმართული, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

სტატუსის საკითხიც რომ არ იდგეს, როდესაც ქვეყნის გარეთ გადიხარ და შენს ხელისუფლებას აკრიტიკებ, უბრალოდ, ამორალური და არასახელმწიფოებრივია, რაც მხოლოდ ბოლმით სავსე ადამიანს შეუძლია.

***– სალომე ზურაბიშვილს ბოლმა რატომ დაუგროვდა?***

– ბოლმა რატომ დაუგროვდა იმ პარტიის მიმართ, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), გაუგებარია. ეს არის პირადი ამბიციები. არ ვიცი, მის საქციელს რა დაავარქვა. ყველასათვის ცნობილია, რომ სალომე ზურაბიშვილს ზედმეტი პრეტენზიები და ამბიციები აქვს, რჩევებს არ მეკითხებიანო და ა.შ. ეს ბევრ რამეში გამოამჟღავნა.

***– კერძოდ, რაში გამოამჟღავნა?***

– ელჩების დანიშვნა იყო თუ სხვადასხვა. საკუთარი, პირადი ამბიციებიც აქვს. ხელისუფლებას ყველაფერი გარეთ არ გამოაქვს. ჯენტლმენურად ექცევიან, რასაც არ იმსახურებს. კიდევ ბევრი რამ ცნობილი არ არის. სალომე ზურაბიშვილმა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში რადიკალურ ოპოზიციას (ნაცმოძრაობის თამადობით) გადააჭარბა.

სალომე ზურაბიშვილსა და სხვებს შევახსენებ, რომ „ქართული ოხნების“ მიერ შეცვლილი კონსტიტუციით, ის საქართველოს პრეზიდენტი 6 წლით გახდა და არა 4 წლით. მას ესეც დაავიწყდა. 6 წლიდან დარჩენილი აქვს ერთი წელი. გარდა დაბოღმილობისა, კიდევ ერთი რამ იკვეთება – მისი პოლიტიკური მიზნები. არანაირი საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა. პრეზიდენტობის მთელი წელი აქვს დარჩენილი და ის ამ ერთ წელსა და თანამდებობას წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს.



***– ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში რჩება?***

– ყველა დავინახავთ, რომ ის პოლიტიკურ პროცესებში ჩაერევა. „ჩვენი ხმა ევროპას“ ლოზუნგს ამოფარებული საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან შეხვედრები, მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაა და მეტი არაფერი.

„ჩვენი ხმა ევროპას“ სალომე ზურაბიშვილს მაშინ უნდა გაეკეთებინა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებში დადიოდა, ქვეყანას მტრობდა და იქედან ხელისუფლებას ლანძღავდა.

ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, არ შეიძლება თითქოს კანდიდატის სტატუსის მინიჭება გინდოდეს და ამ დროს იქ რაღაც დარღვევებსა და ოლიგარქიაზე საუბრობდე, რა განცხადებებსაც ზურაბიშვილი აკეთებდა.

ასე ხალხსა და ქვეყანას სტატუსს არ ანიჭებენ. კონკრეტული რეფორმების გამო ხდება სხვადასხვა სტატუსების მინიჭება. ამის ნათელი მაგალითია თურქეთი. თურქ ხალხს იწუნებენ და ევროკავშირში ამიტომ არ იღებენ? არა, კონკრეტული მოთხოვნები არსებობს. განცხადება წლების წინ გაკეთდა, რომ თურქეთი მოთხოვნებს არ ასრულებდა. იგივე საკანონმდელო თუ სხვა კუთხით, რაც საქართველოს შემთხვევაში ასოცირების შეთანხმებით მიეცა, შემდეგ კანდიდატობისთვის 12 პუნქტი. ახლა კი 9 პუნქტი.

ანალოგიური მოთხოვნები იყო თურქეთის მიმართაც. თურქი ხალხი დაიწუნეს და ევროპელები რაღაც ნაციონალური კუთხით უდგებიან? ქართველები კარგი ხალხია და ქართველები მივიღეთო? სომხები აქამდე ცუდი ხალხი იყო და ახლა რაღაც მიდგომები შეეცვალათ, სომხები მოეწონათ და დაახლოება დაიწყეს? ასე ხომ არ არის.

ევროკავშიურში მიღება დამოკიდებულია შიდა დემოკრატიულ პროცესებზე და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## მთავრობამ 2024-2027 წლების მოქმედების გეგმა დაამტკიცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხი განიხილეს.

სხდომაზე დამტკიცდა განკარგულების პროექტი – საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია 2024-2027 წლებისთვის.



საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიზანია მთავრობასა და საზოგადოებას შორის პროაქტიული, თანმიმდევრული და კოორდინირებული საკომუნიკაციო სისტემის ერთიანი ხედვის შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, მორგებული იქნება საქართველოს მთავრობის გრძელვადიან საკომუნიკაციო მიზნებზე. კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება მთავრობის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტს – „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“ და სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ხედვასთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მიზნებსა და ამოცანებთან.

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის დეზინფორმაციისა და ყალბი ახალი ამბების წინააღმდეგ ბრძოლა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და ამავე კუთხით სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სამთავრობო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების წარმომადგენლებმა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციების წარმომადგენლებმა.

სტრატეგიის მიზნებისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამის („სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისთვის“) ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სამთავრობო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემური კვლევა, რომლის შედეგად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ხოლო მეორე მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობები.

## „გადაწყვეტილია, 15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– დიახ, სწორედ ეს თქვა ამ კვლევამ.

***– ეს შესაძლებლობაა ახალი ძალებისთვის. როგორ ფიქრობთ, გამოიყენებს ვინმე?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებლობაა. ეს რესურსია, მაგრამ გამოიყენებს ვინმე, გადაჯგუფდება ვინმე ისე, რომ ამ 60 პროცენტის ყურადღება მიიქციოს, არ ვიცი, ვერ გეტყვით.

***– თუ არაფერი შეიცვლება და არსებული სურათი დარჩება, მაშინ არჩევნებზე რა მოხდება?***

– მოხდება ის, რაც 11 წლის მანძილზე ხდებოდა – „ოცნება“ კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს და აიღებს უმრავლესობას. არის თეორიული შანსიც, რომ არათუ უბრალო უმრავლესობა, საკონსტიტუციო უმრავლესობაც კი აიღოს. არცერთი კვლევა არ მახსოვს, რომელიც ამბობდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდებოდა. ეს კვლევა სწორედ ამას ამბობს.

***– შეიძლება, პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა აღარც იყოს მეორე პარტია?***

– თუ ეს დაპირისპირება უსასრულოდ გაგრძელდება და რამეს არ ილონებენ, სავსებით შესაძლებელია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია გამოფხიზლდება და გააცნობიერებს, რა ხდება მის თავს, რომ ასე თვითონაც დაიღუპება და ეს არც ქვეყნისთვის არის კარგი.

# რით ემსგავსება რუსეთი ირანს?

## „ერთპოლარული მსოფლიოს შესახებ პროგნოზი არ გამართლდა... მოხდა ომი საქართველოში“

მარიამ მჭედლიშვილი



რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, საოკუპაციო ძალები აგრძელებენ აგრესიულ ქმედებებს საქართველოს მოქალაქეების მიმართ. უკრაინაში ომიც არ დამთავრებულა. ამდენად, საქართველოსთვის საყურადღებოა ოკუპანტი რუსეთის პოლიტიკის შეფასება. კრემლის კონფლიქტს თანამედროვეობასთან და რუსეთის მდგომარეობას აფასებს ვენაში მოღვაწე რუსეთის წარმადგენელი, ისტორიკოსი და კულტუროლოგი ალექსანდრ ეტკინდი.

***– თქვენი ახალი წიგნის სახელწოდებაა „რუსეთი თანამედროვეობის წინააღმდეგ“. აგვიხსენით ამ კონფლიქტის არსი.***

– კონფლიქტი მრავალწახნაგოვანია. ბოლო დროს რუსეთმა მოახდინა უკრაინის ნაწილის ოკუპაცია. ჩემი აზრით, რუსეთი ცდილობს, შეაჩეროს ჩვენი ახალი თანამედროვეობის სვლა.

***– როგორ გგონიათ, რა არის რუსეთის მხრიდან უკრაინაში ომის დაწყების მთავარი მიზეზი?***

– მიზეზი ბევრია. ვცილობ, მთავარ მიზეზის მივაგნო. კლიმატური კრიზისის ეპოქაში ვცხოვრობთ. რუსეთი ამასთან ბევრად მეტადაა დაკავშირებული, ვიდრე ბევრი ერთად აღებული ქვეყანა. რუსეთის ეკონომიკა ფუნქციონალურადაა მიბმული ნახშირწყალბადების, ნავთობის, გაზის, ნახშირის ექსპორტზე. კლიმატურ კატასტროფას ისინი იწვევენ. მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპა, ცდილობს, შეამციროს ნახშირწყალბადების მოხმარება. ეს იწვევს რუსეთის შემოსავლების შემცირებას. რუსეთის სახელმწიფო, რუსეთის ელიტა ამ შემოსავლებით არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია ნახშირწყალბადების ექსპორტზე და იმაზე, თუ როგორ რეაგირებს სახელმწიფო კლიმატურ კრიზისზე.

***– თქვენი ლოგიკით, რუსეთის მრავალრიცხოვანი რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრეები მისთვის წყევლაა?***

– დიახ, ეს უფრო წყევლაა. რუსეთს რომ ეს რესურსები არ ჰქონდეს, იქნებოდა კეთილდღეობაზე აწყობილი ქვეყანა.

***– და არ იქნებოდა პარაზიტირება?***

– არ იქნებოდა პარაზიტირება. ამ სიტყვას წიგნშიც ვიყენებ. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა პარაზიტებს არ მიეკუთვნება. ძალიან მდიდარი ქვეყნის უზარმაზარი მოსახლეობა პარაზიტული ფულის, ფულის დიდი ნაკადების მიღმა იმყოფება. პარაზიტული ფული ელიტას ამარაგებს.

***– რომელ ქვეყანასთან შეიძლება ახლანდელი რუსეთის შედარება?***

– თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში რუსეთი სხვადასხვა ქვეყანას ჰგავდა. ამჟამად რუსეთი სულ უფრო ემსგავსება ირანს. საბოლოოდ, რუსეთი შეიძლება დაიშალოს.

***– რას შეუძლია რუსეთის ფედერაციის გადარჩენა?***

– კრემლის რეჟიმი იმედს ამყარებს, პირველ რიგში, გამარჯვებაზე, სანქციების მოხსნაზე, ნახშირწყალბადებით ვაჭრობის სრული მოცულობით განახლებაზე.

***– აღნიშნეთ, რომ რუსეთი ემსგავსება ირანს. ირანი არსებობს, პროტესტების მიუხედავად, იქ რეჟიმი არ იცვლება. შესაძლებელია თუ არა, რომ ახლანდელი რუსეთი საბოლოოდ გადაიქცეს დაკონსერვებულ ირანად ან ჩრდილოეთ კორეად? შესაძლებელია ასეთი ვარიანტი?***

– შესაძლებელია. ძალიან ბევრი რუსეთის მიმართ საუბრობს არა ირანულ, არამედ ჩრდილოკორეულ მოდელზე. მე ამის არ მჯერა. ჩრდილოეთი კორეა არანაირად არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, ურთიერთგაცვალში, დაფინანსებებში. ის რჩება იზოლირებულად. რუსეთი ამ ყველაფერზე დამოკიდებულია და ომამდე უფრო მეტად იყო დამოკიდებული.

ირანიც ნავთობის ექსპორტით ცხოვრობდა. ამგვარი (რუსეთის მსგავსი) შოკები ირანმა გამოიარა და ის აგრძელებს არსებობას. ირანმა გაუძლო საერთაშორისო სანქციებს, ფანტასტიკურ ბლოკადას. რუსეთის ფედერაციისთვის ამგვარი განვითარება შესაძლებელია. განსხვავებაც არის. ირანი წარმოადგენს თეოკრატიას. რუსეთი ირანს დაემსგავსება, მაგრამ ის ირანი ვერ გახდება.

***– რუსეთში არ არსებობს მძლავრი იდეოლოგია, არ არის ირანის მსგავსი გამაერთიანებელი იდეები, ამიტომაც ეს სცენარი სავარაუდო არ არის?***

– ამ მიზეზის გამოც ვერ გამოვა ეს სცენარი.. გავიხსენოთ, როგორ იწყებოდა ომი. პუტინმა დაწერა, რომ უკრაინელები და რუსები – ეს ერთი ერია. ამ დროს ისინი, რომლებიც სანგრებში სხედან და ოკუპირებულ ტერიტორიებს მართავენ, სულ სხვა იდეებით არიან შეპყრობილი. მათი იდეების მიხედვით, უკრაინელები დაბალი რასაა, რომელსაც არ შეუძლია მართვა. დღეს რუსეთში ორივე ოდეოლოგია ვრცელდება. ერთის თანახმად, „უკრაინელები და რუსები ერთი ხალხია“. მეორეს თანახმად, „რუსები – უმაღლესი რასაა, ყველა დანარჩენი უმდაბლესი არის, უმდაბლესი რასა“.

ერთი აზრიც იმპერიულია და მეორეც. სანამ იმპერიულ სივრცეში ეს ორი პრინციპი თანაარსებობს, ომი არ გაჩერდება.

***– გჯერათ თუ არა ერთპოლარული მსოფლიოსი, რომელიც ფილოსოფოსმა ფუკუიამამ 1990-იან წლებში იწინასწარმეტყველა? მან განაცხადა, რომ მთელ დედამიწაზე გაბატონდება ლიბერალური დემოკრატია.***

– ფუკუიამას თეორია უსაფუძვლო გამოდგა. თეორია ჩავარდა არა მარტო იმიტომ, რომ ის თავის წიგნებს ამ თემებზე წერდა რეალობისგან მოწყვეტილად და მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარეობდა ომები, შემდეგ მოხდა ომი საქართველოში. ამაზე ღრმა მიზეზი ისაა, ფუკუიამას პოლიტიკური ფილოსოფია ჩამოყალიბდა კლიმატური კრიზისისგან მოწყვეტილად.

# „ზურაბიშვილი კულისებს მიღმა მუშაობდა, სტატუსი რომ არ მიგვეღო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ინტეგრაციაზე, ანუ ეროკავშირის შიგნით მოქმედ რეგულაციებთან თავსებადი უნდა გახდე. დაწყებული წარმოებიდან, დამთავრებული სხვადასხვა მიმართულებებით.

ეს მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებს არ ეხება. სოფლის მეურნეობა იქნება თუ სხვა დარგები უამრავი რეგულაციაა გასატარებელი. ე.წ. პოლიტიკოსებმა ეს ძალიან კარგად იციან, მაგრამ ქვეყანას მტრობენ. კონკრეტულად, სალომე ზურაბიშვილის მისამართით ვამბობ. ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი, მაგრამ განცხადებებს განზრახ აკეთებდა იმისათვის, რომ პროცესი დაეზიანებინა.

***– თუ გსმენიათ, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი ან ოპოზიცია სხვა ქვეყნებში თავის ხელისუფლებასა და მთავრობას რომ აკრიტიკებდეს?***

– იშვიათი შემთხვევაა. მეცხრეხარისხოვანი ქვეყნები იქნება. არ მინდა ქვეყნები დავახარისხო, მაგრამ გამორიცხული არ არის. უსამშობლო ადამიანები მხოლოდ ჩვენთან ხომ არ არიან. სხვაგანაც არიან ისეთები, რომლებსაც პატრონი სხვა ქვეყანაში ჰყავთ. ისინი დადიან და ჩივიან.

ვისაც თავმოყვარეობა და სუვერენიტეტის განცდა აქვს, ის მსგავს რამეს არ აკეთებს. თუთაშხია რამდენჯერ უნდა შევახსენოთ, რომ ქვეყნის გარეთ შენი ქვეყნის დესპანი უნდა იყო. შიდა საკითხები კი ქვეყნის შიგნით უნდა მოაგვარო, ისევე, როგორც ოჯახის საკითხები ოჯახში უნდა მოაგვარო.

წესით, სალომე ზურაბიშვილს ეს მიდგომა არ უნდა ჰქონოდა. მესმის, რომ ჩემი თაობის ბევრ ადამიანს პატრონი კრემლში ჰყავდა. ახლა პატრონს ბრიუსელში, ვაშინგტონში ან პეკინში ეძებენ.

***– შეიძლება პატრონი საფრანგეთში ჰყავს.***

– საფრანგეთში დაბადებულსა და გაზრდილს, მით უმეტეს, ემიგრანტის შთამომავალს, ერთი ცენტრი უნდა ჰქონდეს – თბილისი. შეიძლება მეორეც აქვს – პარიზი. მესმის, იქ დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ წესით, პატრონები იქ არ უნდა ჰყოლოდა.



ყველა, ვინც ქვეყნის გარეთ გადის და იქედან ილანძღება, ვინც მხარს უჭერს საკუთარი მოქალაქეების დასჯას სხვა ქვეყნის ხელისუფლებისაგან, ის უსამშობლო და უპატრონო ადამიანია. სამშობლოს განცდა არ გააჩნიათ, თორემ სხვაგვარად როგორ შეიძლება სხვა ქვეყნისაგან შენი მოქალაქის დასჯა მოითხოვო.

ნორმალური მიდგომა ისაა, როცა შენი ქვეყნის მოქალაქე სხვა ქვეყანაში დანაშაულს ჩადის, შენ მისი უფლებები უნდა დაიცვა. უნდა შეეცადო, სასჯელი შენს ქვეყანაში მოახდევინო თუ გადმოგცემენ. გადმოცემა ყოველთვის არ ხდება და ჩვენი ქვეყნის საელჩომ, საკონსულომ მისი უფლებები უნდა დაიცვას. ეს არის ნორმალური.

ესენი კი დარბიან და ითხოვენ ჩვენი მოქალაქეების დასჯას. მთელი წლების განმავლობაში უზარმაზარი თანხები აქვთ დახარჯული მარტო ბილეთებსა და სასტუმროებში, საკუთარი ხალხის დასასჯელად.

გულახდილად ვიტყვი, ხელისუფლებამ კეზერაშვილის სხვა ქვეყანაში დასჯა რომ მოითხოვოს, მხარს არ დავუჭერ, არ მივესალმები. ვისაც აქ აქვს კანონი დარღვეული, ყველაფერი უნდა გააკეთონ მისი ექსტრადიციისთვის.

***– ორბანის განცხადებამ და ოპოზიციის ხმაურმა, როგორც ჩანს, ხელისუფლება მაინც შეაშინა და უნგრეთში კობახიძის ხელმძღვანელობით დელეგაცია იმყოფებოდა.***

– რამდენადაც ვიცი, ჩვენი დელეგაციის ვიზიტი ორბანის განცხადებამდე იყო დაგეგმილი, მე ერთი კვირით ადრე გავიგე და იმიტომ გეუბნებით. ვიზიტები მომავალშიც იგეგმება. უნგრეთს ევროკავშირსა და უკრაინასთან თავისი ინტერესები აქვს და გაერკვევიან. შარშან საქართველოსთვის განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღეს მაშინ, როდესაც „ასოცირების ტრიოში“ საქართველო წლების განმავლობაში ლიდერი ქვეყანა იყო. ომმა ასე მოიტანა. ერთი მხრივ, ევროინტეგრაცია დააჩქარა, მეორე მხრივ, ასოცირების ტრიოს დაყოფა გამოიწვია. ჩვენ უკვე დაყოფილი ვართ, ერთ კალათში უკვე აღარ ვიმყოფებით.

***– ერთ კალათში აღარ მოვიაზრებით. თან უკრაინიდან საქართველოს ელჩი გამოძევებულია. ელჩის გამოძევება, ომის მდგომარეობაში შესვლას ნიშნავს.***

– ეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხია. „ასოცირების ტრიო“ სამი ქვეყნის ურთიერთიობა იყო. ეს კალათი არსებობდა, მაგრამ შარშან დაიშალა. თუმცა, ოპოზიციას არ გაუპროტესტებია, ეს რატომ გააკეთეთო. ისინი უკრაინის გამო უფრო შფოთავენ, ვიდრე საქართველოს გამო. სხვა ქვეყანა აწუხებთ, მაგრამ ინტერესი ვიწროპოლიტიკურია, ცდილობენ, როგორმე ვითარებით ისარგებლონ.

ერთია, რას ლაპარაკობენ და რა დროშებს კერავენ, რაც ფსევდოპატრიოტიზმი და ფსევდომედასავლეთეობაა, სინამდვილეში, ალბათ, სიზმარშიც ოცნებობენ, როგორმე რამე მოხდეს ისეთი, რომ სტატუსი ვერ მივიღოთ.

ეკონომიკა

# 2023 წელს სტატუსი 36.295 სტუდენტმა შეიჩერა

2023 კალენდარული წლის განმავლობაში სტატუსი, სხვადასხვა მიზეზის გამო, 36.295 სტუდენტმა შეიჩერა. ასეთია განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის წევრის თინა ბოკუჩავას სადეპუტატო კითხვის პასუხად გაგზავნილი ინფორმაცია.

უწყების განმარტებითვე, სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა, იყოს: სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.



გარდა ამისა, როგორც სამინისტროს მიერ დეპუტატისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ფინანსური დავალიანება ჩამოეწერა 30.000-მდე სტუდენტს.

– 2023 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით ფინანსური დავალიანების ჩამოწერის შემდგომ სტატუსი აღიდგინა 4.000-მდე სტუდენტმა. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად ჩამოეწერება ფინანსური დავალიანება, უფლებამოსილია, აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში. ამდენად, აღნიშნული პროცესი მიმდინარეა, – ვკითხულობთ განათლების სამინისტროს ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დავალიანება გაუნულდებოდათ.

# „კომფორტულად ცხოვრებისთვის ყოველთვიურად 3 ათას ლარზე მეტი შემოსავალია საჭირო“

– უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კომფორტულად ცხოვრებისთვის ყოველთვიურად 3 ათას ლარზე მეტი შემოსავალია საჭირო, – ასეთია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ს) გამოკვლევის შედეგები.

– თბილისში ვინც ცხოვრობს, ამბობენ, რომ ყოველთვიურად 4.000 ლარზე მეტი სჭირდებათ კომფორტულად ცხოვრებისთვის, ხოლო სოფლებსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებთა უმეტესობა აცხადებს, რომ თვეში 2.000 ლარის შემოსავალი ეყოფოდათ, – ნათქვამია კვლევაში.



აღნიშნული ანგარიში 14 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობით პირისპირი გამოკითხვის შედეგებს ემყარება (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). ოქტომბერში ჩატარებული გამოკითხვა სულ 2,068 დასრულებულ ინტერვიუს მოიცავს. საშუალო ცდომილების ზღვარი კვლევაში +/– 2,2 პროცენტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს

## როგორ იქცა ქართველი პაპაშვილის რომანი ამერიკულ ბესტსელერად

„უმაგალითო მოვლენა“ – დაწერა ამერიკულ პრესაში. ეს სიტყვები საქართველოშიც გაიმეორეს. შეფასება ეხებოდა შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ მოქანდაკეს, გიორგი პაპაშვილს, რომელიც ავტორია ბესტსელერად ქცეული წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

მამია ბერიშვილმა, გურამ შარაძესთან ერთად საფრანგეთიდან ჩამოიტანა ჯერ პარიზლევილში, მოგვიანებით კი ჰარვარდში დაცული არქივები. ეს იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წლების სამთავრობო დოკუმენტები. ამ უზარმაზარი მასალის გაცნობამ ამოატივტივა არაერთი მნიშვნელოვანი ქართველის და მათ შორის, გიორგი პაპაშვილის გვარიც. შევეცადე, დავკავშირებოდი იმ ადამიანებსაც, რომელთაც რაღაც ინფორმაცია, თუნდაც უმნიშვნელო, გააჩნდათ მწერალზე. ასეთი გახლავთ უხუცესი ქართველი ემიგრანტი, 85 წლის ალექსანდრე ფუტკარაძე.

1944 წლის ოქტომბერში დაიწყო, როცა ამერიკის ორმა უდიდესმა გამომცემლობამ ამერიკელ მკითხველს შესთავაზეს სრულიად ახალი წიგნი – გიორგი (ჯორჯ) და ჰელენ (მეუღლე გიორგის) პაპაშვილების რომანი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. წიგნი მაღაზიის თაროებიდან თვალის დახამხამებაში ქრებოდა. იმავე წლის ნოემბერში იგივე განმეორდა. 1945 წელს ეს რომანი იანვრის თვეში 4-ჯერ გამოიცა. ერთმა ადამიანმა აღნიშნა, რომ ეს იყო ლიტერატურული ბუმი, იმიტომ, რომ 1945 წლის თებერვალში ამ ორმა გამომცემლობამ 3-ჯერ გაიმეორა იგივე. იმავე წელს წიგნი დაბეჭდეს მაისში, ივნისში და ოქტომბერში. ე.ი. ერთი წლის განმავლობაში რომანი 10-ჯერ გამოიცა. ნაწარმოები ერთბაშად აღმოჩნდა აღიარებული. გიორგი პაპაშვილის თითქმის ნახევარ მილიონზე მეტი წიგნის გაყიდვა სწორედ ამგვარად შეფასდა: „უმაგალითო მოვლენა“. წიგნი ამერიკაში ბესტსელერად იქცა.

ცნობილმა რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა ჰოლივუდს ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმის გადაღება შესთავაზა. ეს იმდენად გახმაურებული რომანი იყო ამერიკაში, რომ ჰოლივუდი ამ შეთავაზებას დათანხმდა. ფილმის რეჟისორი თავად ჯორჯ სიტონი გახლდათ. ტექნიკური დირექტორი – ლადო ბაბიშვილი. მთავარ როლებში მოწვეულნი იყვნენ კინოვარსკვლავები: ხოსე ფარერი და კიმ ჰანტერი. ფილმში გამოყენებული იყო ქართული სიმღერები, მელოდიები, ცეკვები. ფილმში გამოყენებული იყო ქართული ფანდურებიც, ეს ფანდურები დღესაც ინახება ალექსანდრე ფუტკარაძის სახლში. ამ კუთხით მიწვეულნი იყვნენ კომპოზიტორი იუნგი და ალექსანდრე ფუტკარაძე. ფილმი გადაიღეს, თუმცა იგი ოდნავადაც არ აღმოჩნდა ისეთი წარმატებული, როგორც რომანი.

წიგნი ქართველ ემიგრანტზე, მაგრამ არ არის მხოლოდ ქართველზე. რომანში საუბარია სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ემიგრანტებზეც, თვითონ ამერიკაზე, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნაწარმოებში მწერალი საუბრობს საქართველოზე, თბილისზე, კობიანთკარზე, ხევსურეთზე. ისე ბუნებრივად ახსენებს ამ ყველაფერს, რომ უხერხულობის განცდა არ რჩება, იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა ეს ყველაფერი. აგრეთვე საუბრობს ქართულ სამზარეულოზე და ქართველი ადამიანის ხასიათზე, მის ფასეულობებზე.

ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი გივი კობახიძე იხსენებდა, რომ ერთხელ სტუმრად ეწვია ამერიკელი ქალბატონი. ამ ქალმა როცა გაიგო მათი ქართული წარმომავლობა, გაუხარდა და იმ წუთში პაპაშვილი ახსენა. მან მასპინძლებს სთხოვა, თუკი რაიმე ექნებოდათ საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე, ეთხოვებინათ მისთვის. მერე ამ ახალგაზრდას მოუყოლია, რომ პაპაშვილის რომანის წაკითხვის შემდეგ, მას და მის მეგობრებს გადაუშლიათ რუკები და ენციკლოპედიებში უძებნიათ ინფორმაცია ამ უჩვეულო და საოცარი ქვეყნის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა შეუძლია მწერლობას.



***– ევროპამ როგორ მიიღო ეს რომანი?***

– რომანი ითარგმნა 15 ევროპულ ენაზე. აგრეთვე იაპონურად და ჩინურადაც. საინტერესოა, ამ უზარმაზარ ქვეყნებში რომანი რა რაოდენობის ტირაჟით დაიბეჭდა. ერთ-ერთი უცხოელი ლიტერატორის სტატიაში ამოვიკითხე, რომ პაპაშვილის რომანი საგანგებოდ ითარგმნა ურდუს ენაზეც. XX საუკუნის 50-იან წლებში ურდუ გავრცელებული ენა იყო პაკისტანში, ბანგლადეშში, შრი-ლანკაში, არაბეთის ქვეყნების უმეტესობებში და ინდოეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში. მასშტაბები უდავოდ შთამბეჭდავია. გამოდის, რომ ქართველი ემიგრანტის რომანს მთელი მსოფლიო კითხულობდა.

***– საბჭოთა კავშირში გავრცელდა თუ არა ეს წიგნი?***

– რუსულადაც ითარგმნა ეს რომანი. თუმცა, ისეთი რეკლამა და ტირაჟირება არ გაუკეთდა ნაწარმოებს, როგორი რანგისაც იყო. ეს წიგნი გავრცელდა როგორც ერთ-ერთი ცნობილი რომანი, და არა ისე, როგორც მსოფლიოში აღიარებული წიგნი.

***– საქართველომ როგორ მიიღო თანამემამულის ბესტსელერი?***

– მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ბატონ ანდუყაფარ ჭეიშვილის ღვაწლი, რომელმაც რომანი ინგლისურიდან თარგმნა. ჭეიშვილმა პირველად როცა წაიკითხა რომანი, ძალიან მოეწონა და თარგმნა გადაწყვიტა. ვფიქრობ, ეს არ იყო მხოლოდ ლიტერატურული გემოვნება, ლიტერატურული გამბედაობაც გახლდათ. ეს წიგნი ოდნავ განსხვაებული სათაურით დაიბეჭდა: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

XX საუკუნის 60-იან წლებში, როცა ამერიკის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკა შეიცვალა და დათბობა დაიწყო, 1961 წლის აპრილში საქართველოში მოიწვიეს გიორგი პაპაშვილი. როცა ის სამშობლოში ჩამოვიდა, მისი წიგნი გამოცემული ჯერ არ იყო. აჩვენეს მხოლოდ გარკვეული თავების თარგმანი. გიორგი პაპაშვილი ერთი თვე იყო საქართველოში, მოინახულა თავისი სოფელი, შეხვდა ახალგაზრდებს, მწერლებს, მხატვრებს... ამერიკაში დაბრუნებულმა, 10 წლის შემდეგ დაწერა რომანი „შინისაკენ, კვლავ შინისაკენ“. მართალია, ეს წიგნი ბესტსელერად ვერ იქცა, მაგრამ ძალიან პოპულარული კი გახდა. მისი ქართული თარგმანი არ არსებობს.

***– და მაინც, ვინ იყო გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი?***

– ცნობილი მოქანდაკე, პრიმიტივისტი-სკულპტორი, ამერიკაში ბესტსელერად ქცეული წიგნის ავტორი, პოპულარული მწერალი და მოქანდაკე. ქართული წარმომავლობის კაცი, რომელიც 1950 წელს „ამერიკის რჩეული ბიბლიოთეკის“ საპატიო ავტორადაც აღიარეს.

**მედიცინა**

# ხალხური მედიცინის საგანძურიდან

### თავის ტკივილის დროს

1. აიღეთ ახალი ლიმონის ქერქი, გააცალეთ კანი და მიიდეთ საფეთქელზე შიდა მხრიდან. მალე ლიმონის ქვეშ, კანზე გაჩნდება წითელი ლაქა, რომელიც ოდნავ გახურდება და გამოიწვევს ქავილის შეგრძნებას. თავის ტკივილი მაშინვე გაგივლით.



2. ერთი დღე-ღამე წყალში დამბალი კოწახურის წვენის დალევა კარგად შველის თავისა და საფეთქლების ტკივილს.
3. კარგ შედეგს იძლევა დღეში ორჯერ ცხვირში ალოეს წვენის ორ-ორი წვეთის ჩაწვეთება;
4. დალეჭეთ ყაყაჩოს ქერქი კევივით, ან ცხვირში ჩაიწვეთეთ ყაყაჩოს წვენი.
5. ახალი კომბოსტოს ფოთლები მიიდეთ საფეთქლებზე, კეფასა და შუბლზე.
6. სვით მაყვლის ფოთლების ნახარში.

❖ ❖ ❖

თავი გტკივდებათ, თუ ორგანიზმი დანაგვიანებულ ტოქსინებით. უწინარეს ყოვლისა, გაიწმინდეთ ორგანიზმი, ხოლო შემდეგ გამოიყენეთ ვალერიანის ფესვების, მარწყვის ფოთლების, კრაზანას, პიტნის, გვირილას ყვავილების, გულყვითელას (კალენდულას) ნაყენი. მეტ ხანს იყავით სუფთა ჰაერზე ძილის წინ, მეტი იარეთ. არ დაივიწყოთ კარგი განწყობა, დადებითი ემოციები.

როგორ მოამზადოთ ნაყენი? აიღეთ თითო კოვზი ვალერიანის ფესვები, პიტნის, კრაზანას, მარწყვის ფოთლები, დაამატეთ ცოტაოდენი გვირილასა და გულყვითელას გამხმარი ყვავილები. დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი, რამდენიმე წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. გააცივეთ, გაწურეთ. დალიეთ ჭიქის მეოთხედი 2-ჯერ ან 3-ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

შაკიკის დროს სასარგებლოა მდოგვის საფენი, რომელიც უკან, კისერზე თმის ძირებთან და ფეხის გულებზე უნდა დაიფინოთ. თავიც მაგრად შეიხვიეთ.

### ჰაიმორიტს რომ ვუწამლოთ

1. აკაციის პარკებიდან გადმოვყრით თესლებს, გავახმობთ ამ პარკებს და დავფქვავთ, ვიყნოსავთ ბურნუთივით. ან დანის წვერით ძალზე მცირე რაოდენობით ფხვნილს ავიღებთ და გავხსნით პენიცილინის ხსნარში. ხსნარს ჩავიწვეთებთ საწვეთურის საშუალებით დღეში ერთხელ მხოლოდ ერთ წვეთს, ვინაიდან ძალზე მტკივნეულია რამდენიმე წუთის განმავლობაში. დაცემინების შედეგად, შუბლის არე დაგროვილი ჩირქისგან თავისუფლება.

2. საჭიროა ზომიერი სითბო ცხვირის, შუბლის წარბზედა ნაწილისა და თავისთვის. თავსაფარი და შარფი გამოიყენეთ არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ ღამითაც. საღამოს ისუნთქეთ ცხელი ორთქლით, გამოირეცხეთ ცხვირი თბილი მარილიანი წყლით ან გულყვითელასა და გვირილას მსუბუქი ნახარშით.

### ტვინის ანთება (მენინგიტი)

მენინგიტი ძალიან გავრცელებულია ბავშვებში. ავიღოთ წითელი მიწა (რომლითაც ქოთნებს აკეთებენ), გავცრათ, მოვზილოთ თხლად, გავახვიოთ თხელ ტილოში და დავუფინოთ ავადმყოფს უკანა კეფასა და კისრის მალებს შორის. ეს პროცედურა ორჯერ გავიმეოროთ. საფენის გაშრობისთანავე მიწა შეიწოვს ანთებას და ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

### სკლეროზი

სკლეროზის საწინააღმდეგოდ მიიღეთ 1 ჭიქა ხახვის წვენისა და 1 ჭიქა თაფლის ნარევი სამჯერ დღეში, თითო სუფრის კოვზით ორი თვის განმავლობაში.

სკლეროზის დროს და საერთო ჯანმრთელობისთვის ძალზე მარგებელია ნივრიანი სპირტის ნაყენი. ამისთვის აიღეთ 300 გრამი ნიორი, ჩაყარეთ ნახევარლიტრიან რძის ბოთლში და შეავსეთ სპირტით. სამი კვირის შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ დღეში ერთხელ 20 წვეთი, განზავებული ნახევარი ჭიქა რძით.



### თმის ცვენა

მშრალი კანის შემთხვევაში თავი უნდა დაიბანოთ უსაპნოდ, თბილი წყლით, შემდეგ მსუბუქი მასაჟით შეიზილოთ 10-15 წუთის განმავლობაში სუფრის მარილი და ჩამოიბანოთ წყლით. პროცედურა უნდა ჩაიტაროთ 6-ჯერ.

თმის ცვენის საწინააღმდეგოდ შეგიძლიათ იხმაროთ შემდეგი ნარევი: 1 წილი კონიაკი, 4 წილი თავიანი ხახვის წვენი, 6 წილი ბირკავას ნახარში (სუფრის კოვზი ბალახი მოდუღებული ჩაის ჭიქა წყალზე) შეიზილეთ თავის კანში, შეიხვიეთ პირსახოცით 2 საათის განმავლობაში, შემდეგ კი დაიბანეთ. პროცედურა გაიმეორეთ კვირაში ერთხელ.



მოსალოდნელი გამელოტებისას თმის ძირების გასამაგრებლად ოდითგან გამოიყენება სვიის გირჩების ნახარში. სვიის გირჩები უნდა შეაგროვოთ აგვისტო-სექტემბერში, მათ სრულ მომწიფებამდე. 1 ჩაის კოვზ სვიას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ 30 წუთი. გაციების შემდეგ შეიზილეთ თავის კანში.

თმის გასაჯანსაღებლად 1 სუფრის კოვზი ჭინჭრის დაქუცმაცებულ მშრალ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დააყენეთ 1 საათის განმავლობაში. გაციებული ნაყენი გაწურეთ და თავის დაბანის შემდეგ შეიზილეთ კანში, კვირაში 1-2-ჯერ.

### თმის ადრე გათეთრების თავიდან ასაცილებლად

თმის ძირები ვიზილოთ მჟავე გახეხილი ვაშლის წვენით. ასეთი საშუალებით თმას ეძლევა სიმაგრე და იცვლის ფერს.

### თავში ქერტლი თუ გაგიჩნდათ

1. იხმარეთ ბალბის ფოთლების ნახარში.
2. დაამზადეთ ჭინჭრის ნაყენი – 1 სუფრის კოვზი ჭინჭრის გამხმარ ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და გააგრილეთ. გაწურული ნაყენი გადაივლეთ თმებზე.
3. სტრეპტოციდის 20 ცალი აბი კარგად დაფხვენით, გახსენით ცხელ წყალში და გადაივლეთ თმებზე დაბანის შემდეგ.

### თმის ძირების გასამაგრებლად

თითო წილ მრავალძარღვას, სალბისა და ჭინჭრის ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. ნაყენს დაუმატეთ შავი პურის გული. თბილი ნარევი შეიზილეთ თმის ძირებში, მეორე თავზე დაიფინეთ პოლიეთილენის პაკეტი და ზემოდან თავსაფარი წაიკარით. ნარევი გაიჩერეთ 2 საათი. შემდეგ თმაზე გადაივლეთ თბილი წყალი და გაიშრეთ.

მუხის ქერქისა და ხახვის ფურცლის თანაბარ რაოდენობას დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი და ადუღეთ 1 საათი ძალიან დაბალ ცეცხლზე, გააციეთ და გაწურეთ. მიღებული ნაყენით დაისველეთ თმა. 2 საათის შემდეგ თავი დაიბანეთ თბილი წყლით.

### რეცეპტები ცხიმიანი თმებისთვის

2-3 ჩაის კოვზი მდოგვი წყალში გააზავეთ ისე, რომ ფაფა მიიღოთ და თავის კანში შეიზილეთ. 10-15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

100-150 გრამი შავი პური ან ქერქი წვრილად დააქუცმაცეთ და მდუღარე წყალი დაასხით. როცა შეგრილდება, ფაფა თავზე წაისვით და პოლიეთილენის ქუდი დაიხურეთ 20-30 წუთით. შემდეგ ფრთხილად ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ცხიმიანი თმის გაწმენდა შეიძლება კვირაში 2-3-ჯერ შემდეგი ხსნარით: თითო ჩაის კოვზი ლიმონის, ვაშლის, სტაფილოს წვენი, 1 მწიკვი ბორის მჟავა, 3 სუფრის კოვზი წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აშშ-მ გაეროს რეზოლუციას ვეტო დაადო



აშშ-მ ვეტო დაადო გაეროს რეზოლუციას, რომელიც ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტას ითვალისწინებდა. რეზოლუცია საუდის არაბეთის მიერ იყო მომზადებული.

აშშ გაეროს უშიშროების საბჭოს ერთადერთი წევრი იყო, ვინც ხსენებული რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა.

## ბულგარეთის პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია



ბულგარეთის პრეზიდენტმა რადევმა ვეტო დაადო დადგენილებას, რომელიც უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას ითვალისწინებდა.

ბულგარეთის პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია. დადგენილებას მხარი დაუჭირა 156-მა დეპუტატმა. წინააღმდეგი იყო 55.

## ისრაელის პრემიერისა და პუტინის საუბარი შედგა



რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ისრაელის პრემიერს ნეთანიაჰუს დაუკავშირდა. სატელეფონო საუბრის ინიციატორი პუტინი იყო.

ისრაელის პრემიერმა გააკრიტიკა პუტინი ჰამასის მხარდაჭერის გამო. ნეთანიაჰუმ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის პოზიცია ანტიდემოკრატიული და ანტიხალხურია.

## ბახმუტთან გააფთრებული ბრძოლებია



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ არის. ეს შეეხება ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილებსაც – ავდეევკასა და მარინკას.

ოკუპანტებმა კვლავ სცადეს ავდეევკის პრომზონაში შეჭრა. უკრაინულმა არტილერიამ ცეცხლი გახსნა. ოკუპანტებიც იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. სულ გასული დღის განმავლობაში ავდეევკაზე 39 შეტევა იქნა განხორციელებული. უკრაინელებმა ყველა მათგანი მოიგერიეს

მსგავსი სურათი გამეორდა მარინკაშიც: იქ ქუჩის ბრძოლებია. ქალაქის სამხრეთ ნაწილში რუსები დომინირებენ, ჩრდილოეთში უკრაინელები.

გააფთრებული ბრძოლებია ბახმუტთან. ოკუპანტები უტევენ ბახმუტის მახლობლად მყოფ დასახლებულ პუნქტებს: ანდრეევკას, კლესჩივკას და ა.შ. დონეცკის მიმართულებით რუსები უტევენ. ინიციატივაც დონეცკის ფრონტზე მათ მხარესაა. მიუხედავად ამისა, უკრაინელები პოზიციებს მაინც ინარჩუნებენ.

ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინელები ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდიან წინ. აქ ინიციატივა მათ მხარესაა. რაც შეეხება ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირს, აქ უკრაინელებმა ოკუპანტები კიდევ რამდენიმე კუნძულიდან გამოყარეს.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5655; ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის საშუალებები – 605; თვითმფრინავები – 324; ვერტმფრენები – 325;

განადგურებულია – 339.850 ოკუპანტი.

## არგენტინაში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა

ბუენოს-აირესში არგენტინის ახალი პრეზიდენტის მილეს ინაუგურაცია შედგა. მას უკრანის პრეზიდენტი ზელენსკიც დაესწრო.

მილე არ არის პერონისტი. ის დაჯერებული ლიბერტანიანელია და პუტინის პოლიტიკას უპირისპირდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## განძის მაძიებლებმა ძველი რომაული მონეტები იპოვეს და სოლიდურ ფასად გაყიდეს

ინგლისის ნორფოლკის საგრაფოში განძის მაძიებლების მიერ ნაპოვნი ძველი რომაული მონეტების განძი აუქციონზე 15 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. თუმცა, გაიყიდა მისი მცირე ნაწილი – 73 მონეტა, ნაპოვნი 430 მონეტიდან.

განძის მაძიებლებმა პირველ ვერცხლის მონეტას მაშინ მიაგნეს, როდესაც ლითონმაძიებელი ხელსაწყოთი 2020 წლის იანვარში მინდორში მუშაობდნენ. ის იყო წვრილი მონეტა, რომელსაც ძველ რომში ჩვენი წელთაღრიცხვის დასასწყისში აწარმოებდნენ. სალამოსთვის მათ კიდევ 40 მონეტა ამოთხარეს მიწიდან. ნაპოვნ განძს მეორე დღეს კიდევ ამდენივე მიემატა. მათი ძებნა სამ წელს გრძელდებოდა.



2020 წელს მათ 316 მონეტა იპოვეს, 2021 წელს – 114 და ბოლო სამ მონეტას 2022 წელს მიაგნეს. ნაპოვნი მონეტების უმრავლესობა პირველი აღმოჩენილი მონეტიდან მეტრ-ნახევარის რადიუსში იქნა ნაპოვნი, დანარჩენები კი მთელ მინდორში იყო მიმოფანტული. სპეციალისტები ნაპოვნ მონეტებს მე-5 საუკუნით ათარიღებენ.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მონეტა ფენიქსის გამოსახულებით, რომელიც აუქციონზე 3,4 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. მთელ მსოფლიოში მხოლოდ ხუთი ასეთი მონეტაა დარჩენილი და ყველა მათგანი მუზეუმებშია დაცული.

## ზეიმის დროს ერთი ოჯახის 11 წევრს მეხი დაეცა



ტანზანიაში მეხი დაეცა 11 ადამიანს, რომლებიც ერთი ოჯახის წევრები იყვნენ.

კვირას, 3 დეკემბერს, სოფელ მაპარაგვეში, 11-სულიანმა ოჯახმა თავი სახლის გარეთ ზეიმის მოსაწყობად მოიყარა, რომელიც ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ სასწავლებლის დამთავრებას ეძღვნებოდა. უცბად დაიწყო წვიმა, ატყდა ჭექა-ქუხილი და ამ დროს მეხი ჩამოვარდა. ოჯახის 5 წევრი გადარჩა, ხოლო ექვსის გადარჩენა, მათ შორის ორი ბავშვის, ვერ მოხერხდა.

პოლიციამ ადგილობრივ მოსახლეობას სიფრთხილის დაცვისკენ მოუწოდა – წვიმების სეზონის დროს საკუთარ თავს რისკის ქვეშ ნუ დააყენებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

## სამტრედია და თელავი ელიტაში დარჩნენ

**გარეჯი-სამტრედია 3:1**
**(პირველი მატჩი 1:4)**
**საგარეჯო. ცენტრალური სტადიონი**



0:1 ნაჭყებია (8); 1:1 უგრეხელიძე (14); 2:1 პაპუაშვილი (36); 3:1 ხარებაშვილი (47)

**გარეჯი:** სეფიაშვილი, გალახვარიძე (ლექვთაძე 66), მირცხულავა, უგრეხელიძე, გ.ლაცაბიძე, პაპუაშვილი, ვეკუა, გაბესკირია, ფონიავა (გ.ცეცხლაძე 79), ხარებაშვილი პაპავა (ბერმუდესი 84)

**სამტრედია:** ხარატიშვილი, ი.ახვლედიანი, აბულაძე, ბოჭორიშვილი, უბილავა, ხმალაძე, პავიშიჩი, თ.ახვლედიანი, ფირანაშვილი (კილასონია 74), ზ.ნაჭყებია (ინჯგია 90), მიშოვი (კირკიტაძე 50)

ეროვნული ლიგის ფლეი აუტში სამტრედიამ ორმატჩიან დუელში საგარეჯოს გარეჯი დაამარცხა და ადგილი შეინარჩუნა.

ამ ყველაფრის გაკეთება კი ბრძოლაში მოუხდა. არადა, საშინაო მატჩი იმერლებმა 4:1 მოიგეს და თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ განმეორებითი დაპირისპირება 1:3 წააგო და საგარეჯოელები შანსს ბოლომდე ინარჩუნებდნენ. მეტიც, საგარეჯოში ანგარიში მე-7 წუთზე სამტრედიის თავდამსხმელმა ზვიად ნაჭყებიამ გახსნა და ორი მატჩის ჯამში გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

საგარეჯოელები რთულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. თუმცა, გააქტიურდნენ და მე-14 წუთზე ლაშა უგრეხელიძემ ანგარიში გაათანაბრა; 36-ე წუთზე გიორგი პაპუაშვილმა უძლიერესი და ძალიან ეფექტური დარტყმით გარეჯი დააწინაურა – 2:1.

გარეჯმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოახერხა მესამე გოლის გატანა და ვითარება დაიძაბა – მასპინძლებს ორი შეხვედრის ჯამში ანგარიშის გასათანაბრებლად ერთი გოლი სჭირდებოდათ. თუმცა, კახელთათვის მესამე გოლი ბოლო აღმოჩნდა ამ სეზონში და გუნდმა დაწინაურება ვერ მოახერხა.

**თელავი-სპაერი 4:0**
**(პირველი მატჩი 1:1)**
**თელავი. კავკასიონი არენა**

1:0 აშორტია (15პ), 2:0 რუხაძე (21), 3:0 ქანთარია (28), 4:0 აშორტია (53)

**თელავი:** ქურდაძე, ვ.ფაცაცია, ცნობილაძე, გაბიტაშვილი, მორჩილაძე (ჟივიძე 46), ქანთარია, ჯეფინიო, პარკინაშვილი, რუხაძე, აშორტია (ო.გაგნიძე 66), გოშთელიანი (გოზალიშვილი 79)

**სპაერი:** ფუტკარაძე, მატენჯვა, თ.ცეცხლაძე, კენჭაძე, მოსაშვილი, ქართველიშვილი (გეგიაძე 59), ცაცქრიალაშვილი (ბარაბაძე 78), გადრანი (ბადაგაძე 71), ქებურია (სოსიაშვილი 78), დ.ნაჭყებია (ცვალე 59), გაბუნია

საფეხბურთო კლუბი თელავი არის მე-10 გუნდი, რომელიც გაისად ეროვნულ ლიგაში ითამაშებს. ფლეი აუტში, კახელებმა სტუმრად ფრედ (1:1) ნათამაშევი მატჩის შემდეგ, შინ 4:0 დაამარცხეს თბილისის სპაერი და ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

მასპინძლებმა ანგარიში მე-15 წუთზე იმედა აშორტიას ნახევარი საათის თავზე კი, თელაველები სამი ბურთით იგებდნენ – ირაკლი რუხაძემ და გიორგი ქანთარიამ გაიტანეს.

ამის შემდეგ მატჩი ფორმალობად იქცა და მაყურებელმა მხოლოდ აშორტიას კიდევ ერთი გოლი იხილა – 4:0.

შედეგად, ცნობილია ათივე გუნდი, რომლებიც გაისად ეროვნულ ლიგაში ითამაშებენ: ბათუმის დინამო, თბილისის დინამო, ქუთაისის ტორპედო, გორის სილა, წყალტუბოს სამგურალი, თბილისის საბურთალო, გაგრა, სამტრედია, თელავი და ფოთის კოლხეთი.

2024 წლის სეზონი თებერვლის ბოლოს დაიწყება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## მამაკაცმა ესპანეთის დედოფალი თავის საყვარლობაში ამხილა



მეწარმე ხაიმე დელ ბურგომ განაცხადა, რომ ესპანეთის დედოფალი, ლეტიცია მისი საყვარელი იყო და საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი მისი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

დელ ბურგო ამტკიცებს, რომ ლეტიციას ჯერ კიდევ მანამდე ხვდებოდა, სანამ ის გათხოვდებოდა და დედოფალი გახდებოდა. მათი ურთიერთობა 2011 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგ მას ლეტიციამ მოულოდნელად დაურეკა და უთხრა, რომ ერთმანეთს ველარ შეხვდებოდნენ. ამის შემდეგ მეწარმემ მის დაზე იქორწინა.

საკუთარი ნათქვამის დამადასტურებლად დელ ბურგომ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა დედოფლის სელფი. ის ამტკიცებს, რომ ის იმ დროს მიიღო, როდესაც ლეტიცია ფეხმძიმედ იყო. ფოტოსურათზე ესპანეთის დედოფალი შავი ფერის პიჟამოშია გამოწყობილი, რომელიც დელ ბურგოს მტკიცებით, მისი იყო. სელფს თან ახლდა წარწერა: „საათებს ვითვლი იმ მომენტამდე, როდესაც ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

მოგვიანებით დელ ბურგომ ფოტოსურათი წაშალა.

## ბიზონის მოფერების მცდელობა მამაკაცს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა



ამერიკის იუტას შტატის მცხოვრები ჰალენ კარბახალი კინაღამ სიცოცხლეს გამოემშვიდობა მას შემდეგ, როდესაც მეზობლის ბიზონების მოფერება სცადა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ის მადლიერების დღეს აღნიშნავდა. მამაკაცი სახლში დაბრუნებას აპირებდა, როდესაც მეზობლის ნაკვეთში რამდენიმე ბიზონი შენიშნა. მან გადაწყვიტა ცხოველებს მოფერებოდა და ღობეზე გადაძვრა. ერთ-ერთმა ცხოველმა ის მაშინვე შენიშნა და მისკენ გაემართა. ბიზონი მამაკაცს მიუახლოვდა, მოულოდნელად თავს დაესხა და რქებზე წამოაგო.

ცხოველის თავდასხმის შედეგად კარბახალი მიწაზე დაეცა, შემდეგ კი ღობისკენ გახოხდა. მან ღობის ხვრელში გაძრომა და თავის გადარჩენა მოახერხა. მალე შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმები მივიდნენ. დაშავებული მამაკაცი ნეკნის მოტეხილობით, ღვიძლისა და ფილტვის დაზიანებით, საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. ამ დროისთვის ის რეაბილიტაციის კურსს უკვე სახლის პირობებში გადის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი, პრაქტიკა 50-წლიანი. „იადიგარ დაუდი“ იყო მეფეთმეფის შვილი, მეფე ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი დავით ბაგრატიონი (ნახეთ სოციალურ ქსელში), აღიარებდა 4 სახის მედიცინას. მე ავირჩიე ხალხური და მაგიური მედიცინა, წიგნი „იადიგარ დაუდი“ და მასში მოყვანილი მაგიური მკურნალობა შემაყვარა დედამ, ალა მერებაშვილმა, მას კი თავისი მაგისგან დავით მერებაშვილისგან გადმოეცა, რომელიც XVIII საუკუნეში ძლიერ ექიმად ითვლებოდა თიანეთის რაიონში. რასაც გთავაზობთ, ეს მაგიური მედიცინაა, უწამლოდ. სიტყვა „მაგია“ ნიშნავს სასწაულს, საოცრებას. ამ საოცრებას ვახდენ ფოტოსურათით: აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, ბავშვებში სასქესო ორგანოს ზრდის შეჩერება, მოზარდებში დაუმორჩილებლობა, დაუდგენელი დიაგნოზის დაავადებები, რაც გამოწვეულია შავი ძალებით (მაგ. სექსუალური დარღვევები, უშვილობა), მოძალადის დაწყნარება ან ჩამოცილება, ურთიერთობის პრობლემები და კიდევ ბევრი რამ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №57. მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ოფისი 777. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნებისმიერ დღეს.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ბერულავა-მეტელკინას წყვილი გრან პრის ჩემპიონია



ფიგურულ ციგურაობის იუნიორთა გრან პრის სერიათა ფინალში საქართველოს ჰიმნმა გაიჟღერა. სპორტულ ცეკვებში ანასტასია მეტელკინას და ლუკა ბერულავას წყვილმა მოკლე, თავისუფალი და ორივე პროგრამის ჯამში სეზონისა და კარიერის საუკეთესო შედეგები დაიმსახურა და ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებმა მოკლე პროგრამაში მსაჯებისგან 70.48 ქულიანი შეფასება მიიღეს. ასევე საუკეთესოები იყვნენ თავისუფალ პროგრამაში მიღებული 131.63 ქულით. კარიერის საუკეთესო შედეგი ერგოთ ორივე პროგრამის გათვალისწინებითაც – 202.11.

გასათვალისწინებელია, რომ გრან პრის სერიათა ფინალში თითოეული დისციპლინიდან საუკეთესო ექვსეული გამოდიოდა. ასე რომ, საუკეთესოებს შორის გამარჯვება ორმაგ მნიშვნელობას იძენს. მით უმეტეს, თუ მეორე და მესამე ადგილებს კანადელები იკავებენ. ცნობისთვის, მეორეზე გასული კანადელები ქართულ წყვილს 33.28 ქულით ჩამორჩნენ.

**ლუკა ბერულავა:**

– შეჯიბრების შემდეგ ჩემი განცდები იგივეა – შვება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კარგი შეჯიბრებაა. ბედნიერები ვართ იმით, როგორც გამოვედით. წინ ევროპის ჩემპიონატი მოგველის. კვლავაც უმაღლეს მიზნებს ვისახავთ, შეიძლება გამარჯვებაც. ასევე ვგეგმავთ მსოფლიო და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას.

# მამარდაშვილი რეალსა და სამ ინგლისურ კლუბს სურს

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის მოახლოებასთან ერთად, მედიაში გიორგი მამარდაშვილით დაინტერესებული კლუბების შესახებ უფრო და უფრო მეტი იწერება.

ესპანური მედიის ცნობით, ვალენსიას მეკარე გიორგი მამარდაშვილი მადრიდის რეალს დაუკავშირეს. როგორც აპენინელები წერენ, ზაფხულში თუ მადრიდელები ჩელსიდან კეპას ვერ გამოისყიდიან, ახალი მეკარის შეძენას გეგმავენ, რადგან გუნდიდან შეიძლება ანდრეი ლუნინიც წავიდეს.

ხსენებული გამოცემა იტყობინება, რომ „სამეფო კლუბის“ სიაში სამი მეკარეა – გიორგი მამარდაშვილი, მათეუსი და რანდალ როდრიგესი. კონკრეტული დეტალები უცნობია, მაგრამ მადრიდელები ტიბო კურტუას ალტერნატივას ეძებენ, რათა გუნდში მეორე მეკარე ჰყავდეთ.

აღსანიშნავია, რომ მამარდაშვილით რეალი მიმდინარე სეზონის წინაც იყო დაინტერესებული, როცა კურტუამ ტრავმა მიიღო, მაგრამ მაშინ გარიგება არ შედგა. ქართველ მეკარეს სამ ინგლისურ კლუბსაც უკავშირებენ.

საქართველოს ნაკრების მეკარე ყოველ შეხვედრაში პროგრესირებს. ბოლოს მამარდაშვილმა გამორჩეული შეხვედრა ხეტაფესთან ჩაატარა, რომელშიც მისი გუნდი 0:1 დამარცხდა, მაგრამ 22 წლის მეკარე „მატჩის მეფედ“ მაინც დაასახელეს.

გარდა ამისა, მამარდაშვილის შეძენით ინგლისის პრემიერლიგის სამი კლუბია დაინტერესებული – მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი და ტოტენჰემი.

**აი, რას წერს მედია:**

– ქართველი კიპერი ვალენსიაში ისევ მაღალ დონეზე თამაშობს და როგორც ჩანს, არიან კლუბები, რომლებსაც არ სურთ ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება. ვალენსიის ფინანსური მდგომარეობის გამო პრემიერლიგის გუნდები ყურადღებით არიან, რადგან ესპანურ კლუბს დიდი ვალი აქვს და ამის გამოსასწორებლად იძულებულია, რომ ვარსკვლავები გაყიდოს. ამ ფინანსურ გაურკვევლობაში, ერთ-ერთი სახელი, რომელმაც გაიჟღერა, სწორედ გიორგი მამარდაშვილია.

22 წლის გიორგი მამარდაშვილი ბოლო სეზონებში ვალენსიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახდა. მისმა ტალანტმა და პოტენციალმა პრემიერლიგის რამდენიმე კლუბის ინტერესი გამოიწვია, რომელთა შორის მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი და ტოტენჰემი არიან.

სამივე ეს გუნდი ცდილობს, შემდეგი სეზონისთვის მეკარის პოზიციის გაძლიერებას და როგორც ჩანს, მამარდაშვილი პერსპექტიული ვარიანტია. სისწრაფის, რეფლექსებისა და ფეხით თამაშის უნარის გამო მას ევროპულ ფეხბურთში ნათელი მომავალი აქვს. ერთ-ერთი კლუბი, რომელიც შედარებით უფრო აქტიურობს, ნიუკასლია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დანარჩენ ორ გუნდთან შედარებით უპირატესობა აქვს.

ვალენსიამ მამარდაშვილის გაყიდვით, შესაძლოა, დიდი შემოსავალი მიიღოს, რაც გამოიწვევს ფინანსური



მდგომარეობის სტაბილიზაციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი ვარსკვლავის დაკარგვა გუნდისა და ფანებისთვის მძიმე დარტყმა იქნება.

პრემიერლიგა საერთაშორისო ტალანტებისათვის ისტორიულად მიმზიდველ ჩემპიონატს წარმოადგენს და გამონაკლისი არც გიორგი მამარდაშვილია. ინგლისურმა ლიგამ, რომელიც კონკურენტუნარიანობითა და თამაშის მაღალი დონით არის ცნობილი, შესაძლოა ახალგაზრდა მეკარეს განვითარებისა და პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენის შესაძლებლობა შესთავაზოს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილს ვალენსიასთან კონტრაქტი 2027 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

ვალენსია 16 ტურის შემდეგ ლა ლიგის ცხრილში მე-10 ადგილზე იმყოფება. მომდევნო მატჩს ბარსელონასთან სახლში 16 დეკემბერს გამართავენ.

# ლევან მაისაშვილი: დიდ გუნდებთან მოგების დროც მოვა

პირველმა პროფესიულმა ქართულმა ფრენჩაიზმა შავმა ლომმა 9 დეკემბერს ისტორიული შეხვედრა გამართა. ჩელენჯ თასის სადებიუტო მატჩში მან 1,5-საუკუნოვანი ისტორიის მქონე ინგლისურ გრანდ გლოსტერს უმასპინძლა და გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა.




ინგლისელებმა 15 ქულა ჯარიმების ხარჯზე მოიხვეჭეს, რაზეც ლუკა მატკავამ ლელოთი, გარდასახვითა და ჯარიმით უპასუხა. პირველ ტაიმში მასპინძელთა მოლს მეორე ლელოც მოყვა, მაგრამ ვიდეო-რეფერიმ ხანგრძლივი გადამოწმების შემდეგ გააუქმა...

ნამატჩევს შავი ლომის მთავარმა მწვრთნელმა და მოთამაშეებმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

**ლევან მაისაშვილი:**

– ვეთამაშეთ დიდი ისტორიის მქონე მრისხანე მეტოქეს, რომელსაც სიღრმეების მხრივ პრობლემები არ აქვს და ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის თამაშს მეორე ნომრები უფრო მეტი მონდომებით ატარებენ. ჩემი ბიჭებით ამაყი ვარ, მათ ვუთხარი, ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, რომ მოედანი გამარჯვებულებს დაგვეტოვებინა და ამაში მხოლოდ ანგარიში არ იგულისხმება. ჩვენ უნდა ვყოფილიყავით დარწმუნებული, რომ მაქსიმუმი გავაკეთეთ და ასეც მოხდა.

პირველ ტაიმში გავიტანეთ ორი ლელო, რომელთაგან მეორე, ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, გაუქმდა. არ მაქვს პასუხი, რატომ არ ჩაითვალა ეს ლელო. წაგებული თამაშით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, მაგრამ ის, რომ გლოსტერს ლელო არ გავატანინეთ, თავად კი ორი გავუტანეთ, ნამდვილად იძლევა უკეთესი მომავლის იმედს.

ახლა უელსში მივემგზავრებით, სადაც სკარლეტს ვეთამაშებით, მერე ჰითთან გველის სუპერ თასის ფინალი, იანვარში კი, კასტრთან და კლერმონთან გვაქვს შეხვედრა. გასეირნება არცერთი იქნება, თუმცა, ყველას დავანახეთ, რომ ჩელენჯ თასში მხოლოდ მონაწილეობისთვის არ ვართ და ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შეხვედრას მოვიგებთ, მაგრამ მთავარია, ბოლომდე ვიყოთ ბრძოლაში და ის დროც მოვა, როდესაც დიდ თამაშებს მოვიგებთ.

**მერაბ შარიქაძე:**

– მადლობა თითოეულ გულშემატკივარს, რომელიც, წვიმის მიუხედავად, სტადიონზე მოვიდა და ბოლომდე გვერდში გვედგა. მათი ხმა 80 წუთის განმავლობაშ ისმოდა და ეს დასაფასებელია. ასევე მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თამაშის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა და იდეალური გარემო შექმნა.

ასეთ მძიმე თამაშებში პატარა შეცდომებს დიდი ფასი აქვს. ვინც მსგავსი ტიპის მატჩებში პირველად იღებს მონაწილეობას, მათთვის რთულია. წნეხის მიჩვევას მეტი მსგავსი დონის თამაშები სჭირდება. მნიშვნელოვანია, ყოველი თამაშის, ვარჯიშის შემდეგ ნახევარი ნაბიჯით წინ ვიაროთ და აუცილებლად მოვა დრო, როდესაც ასეთ გუნდებთან ფავორიტებად ჩავითვლებით.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 10 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისის პრემიერლიგა**

ლუთონი-სიტი ... 1:2
ფულემი-ვესტ ჰემი ... 5:0
ევერტონი-ჩელსი ... 2:0
ტოტენჰემი-ნიუკასლი ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 36-15 | 37 |
| 2.არსენალი | 16 | 11 | 3 | 2 | 33-15 | 36 |
| 3.ასტონ ვილა | 16 | 11 | 2 | 3 | 35-20 | 35 |
| 4.სიტი | 16 | 10 | 3 | 3 | 38-18 | 33 |
| 5.ტოტენჰემი | 16 | 9 | 3 | 4 | 33-23 | 30 |
| 6.მანჩესტერი | 16 | 9 | 0 | 7 | 18-21 | 27 |
| 7.ნიუკასლი | 16 | 8 | 2 | 6 | 33-21 | 26 |
| 8.ბრაიტონი | 16 | 7 | 5 | 4 | 33-28 | 26 |
| 9.ვესტ ჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 26-30 | 24 |
| 10.ფულემი | 16 | 6 | 3 | 7 | 26-26 | 21 |
| 11.ჩელსი | 16 | 5 | 4 | 7 | 26-26 | 19 |
| 12.ბრენტფორდი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-22 | 19 |
| 13.ვულვზი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 5 | 4 | 7 | 21-30 | 19 |
| 15.კრ.პალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-23 | 16 |
| 16.ნოტინგემი | 16 | 3 | 5 | 8 | 17-28 | 14 |
| 17.ევერტონი | 16 | 7 | 2 | 7 | 20-20 | 13 |
| 18.ლუთონი | 16 | 2 | 3 | 11 | 17-32 | 9 |
| 19.ბარნლი | 16 | 2 | 2 | 12 | 16-34 | 8 |
| 20.შეფილდი | 16 | 2 | 2 | 12 | 12-41 | 8 |

**შენიშვნა:**
ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ლევერკუზენი ... 1:1
კიოლნი-მაინცი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 14 | 11 | 3 | 0 | 39-12 | 36 |
| 2.ბაიერნი | 13 | 10 | 2 | 1 | 44-14 | 32 |
| 3.შტუტგარტი | 14 | 10 | 1 | 3 | 34-16 | 31 |
| 4.ლაიფციგი | 14 | 9 | 2 | 3 | 34-15 | 29 |
| 5.დორტმუნდი | 14 | 7 | 4 | 3 | 28-23 | 25 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-24 | 23 |
| 7.აინტრახტი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-16 | 21 |
| 8.ფრაიბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-23 | 21 |
| 9.აუგსბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 23-27 | 17 |
| 10.გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 28-31 | 16 |
| 11.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 1 | 8 | 18-25 | 16 |
| 12.ვერდერი | 14 | 4 | 2 | 8 | 20-27 | 14 |
| 13.ჰაიდენჰაიმი | 14 | 4 | 2 | 8 | 21-30 | 14 |
| 14.ბოხუმი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-29 | 13 |
| 15.უნიონი | 13 | 3 | 1 | 9 | 15-28 | 10 |
| 16.კიოლნი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| 17.მაინცი | 14 | 1 | 6 | 7 | 12-26 | 9 |
| 18.დარმშტადი | 14 | 2 | 3 | 9 | 17-37 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანზა-შალკე ... 0:2
ფორტუნა-კილი ... 0:1
ელვერსბერგი-ნიურნბერგი ... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ალმერია ... 2:1
კადისი-ოსასუნა ... 1:1
ბარსელონა-ხირონა ... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 16 | 13 | 2 | 1 | 38-20 | 41 |
| 2.რეალი | 16 | 12 | 3 | 1 | 34-10 | 39 |
| 3.ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 30-18 | 34 |
| 4.ატლეტიკო | 15 | 11 | 1 | 3 | 32-14 | 34 |
| 5.სოსიედადი | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 6.ბილბაო | 15 | 8 | 4 | 3 | 30-18 | 28 |
| 7.ბეტისი | 16 | 6 | 8 | 2 | 19-17 | 26 |
| 8.ლას პალმასი | 16 | 7 | 3 | 6 | 14-13 | 24 |
| 9.ხეტაფე | 16 | 5 | 7 | 4 | 18-20 | 22 |
| 10.ვალენსია | 16 | 5 | 4 | 7 | 17-21 | 19 |
| 11.რაიო | 15 | 4 | 7 | 4 | 16-22 | 19 |
| 12.ალავესი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 4 | 4 | 8 | 22-29 | 16 |
| 14.ოსასუნა | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| 15.მალიორკა | 16 | 2 | 8 | 6 | 14-20 | 14 |
| 16.სევილია | 15 | 2 | 7 | 6 | 20-21 | 13 |
| 17.კადისი | 16 | 2 | 7 | 7 | 13-23 | 13 |
| 18.სელტა | 15 | 1 | 6 | 8 | 15-25 | 9 |
| 19.გრანადა | 15 | 1 | 4 | 10 | 19-35 | 7 |
| 20.ალმერია | 16 | 0 | 4 | 12 | 17-39 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-კარტახენა ... 1:2
რასინგი-ოვიედო ... 2:2
ლეგანესი-ელდენსე ... 1:1
ეიბარი-ანდორა ... 2:2
უესკა-ფეროლი ... 1:0

**იტალია. სერია ა**

ფროზინონე-ტორინო ... 0:0
მონცა-ჯენოა ... 1:0
სალერნიტანა-ბოლონია ... 1:2
რომა-ფიორენტინა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 37-7 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 11 | 3 | 1 | 23-9 | 36 |
| 3.მილანი | 15 | 9 | 2 | 4 | 26-18 | 29 |
| 4.რომა | 15 | 7 | 4 | 4 | 28-17 | 25 |
| 5.ნაპოლი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-18 | 24 |
| 6.ფიორენტინა | 15 | 7 | 4 | 5 | 24-18 | 24 |
| 7.ატალანტა | 15 | 7 | 2 | 6 | 24-18 | 23 |
| 8.ბოლონია | 15 | 6 | 7 | 2 | 18-12 | 25 |
| 9.მონცა | 15 | 5 | 6 | 4 | 16-14 | 21 |
| 10.ლაციო | 15 | 6 | 3 | 6 | 16-16 | 21 |
| 11.ტორინო | 15 | 5 | 5 | 5 | 13-16 | 20 |
| 12.ფროზინონე | 15 | 5 | 4 | 6 | 20-24 | 19 |
| 13.ლეჩე | 14 | 3 | 7 | 4 | 16-19 | 16 |
| 14.ჯენოა | 15 | 4 | 3 | 8 | 15-20 | 15 |
| 15.სასუოლო | 14 | 4 | 3 | 7 | 21-26 | 15 |
| 16.უდინეზე | 15 | 1 | 9 | 5 | 12-25 | 12 |
| 17.ვერონა | 15 | 2 | 5 | 8 | 13-22 | 11 |
| 18.ემპოლი | 14 | 3 | 2 | 9 | 9-26 | 11 |
| 19.კალიარი | 14 | 2 | 4 | 8 | 13-26 | 10 |
| 20.სალერნიტანა | 15 | 1 | 5 | 9 | 11-30 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-მოდენა ... 2:1
პარმა-პალერმო ... 3:3
რეჯანა-ბრეშა ... 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ნიცა-რეიმსი ... 2:1
კლერმონი-ლილი ... 0:0
მეცი-ბრესტი ... 0:1
სტრასბური-ლე ავრი ... 2:1
ლიონი-ტულუზა ... 3:0
ლორიანი-მარსელი ... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 11 | 3 | 1 | 38-12 | 36 |
| 2.მონაკო | 15 | 9 | 3 | 3 | 31-20 | 30 |
| 3.ნიცა | 15 | 9 | 5 | 1 | 16-6 | 32 |
| 4.ლილი | 15 | 7 | 7 | 2 | 19-11 | 27 |
| 5.ბრესტი | 15 | 7 | 4 | 4 | 19-15 | 25 |
| 6.მარსელი | 15 | 6 | 5 | 4 | 22-16 | 23 |
| 7.ლანსი | 15 | 6 | 5 | 4 | 19-15 | 23 |
| 8.რეიმსი | 15 | 7 | 2 | 6 | 21-21 | 23 |
| 9.ნანტი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-25 | 18 |
| 10.სტრასბური | 15 | 4 | 5 | 6 | 14-20 | 17 |
| 11.ლე ავრი | 15 | 3 | 7 | 5 | 13-17 | 16 |
| 12.მეცი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-23 | 16 |
| 13.რენი | 15 | 3 | 6 | 6 | 20-21 | 15 |
| 14.მონპელიე | 15 | 3 | 6 | 6 | 17-20 | 14 |
| 15.ტულუზა | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 16.ლორიანი | 15 | 2 | 6 | 7 | 20-29 | 12 |
| 17.კლერმონი | 15 | 2 | 5 | 8 | 9-21 | 11 |
| 18.ლიონი | 15 | 2 | 4 | 9 | 14-27 | 10 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტრელა-ბოავიშტა ... 3:1
აროუკა-რიუ ავე ... 2:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

იგლზი-უტრეხტი ... 0:2
სიტარდი-ვალვაიკი ... 1:0
ვიტესი-ერაკლესი ... 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ბრიუგე ... 0:0
ეუპენი-გენკი ... 1:3
ანდერლეხტი-სტანდარდი ... 2:2
შარლერუა-სენ ჟილუა ... 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-ალანია ... 0:1
ბაშაქშეჰირი-ხატაი ... 1:0
ქაისერი-პენდიკი ... 2:0
გაზიანთეპი-ტრაბზონი ... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცი-ტიროლი ... 1:2
ჰარტბერგი-ვოლფსბერგერი ... 2:0
შტურმი-ალტახი ... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმარნოკი-სელტიკი ... 2:1

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული სამოდელო ფირმა; 2. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ტყავის შემცველი მინერალი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. ერთხმიანი პარტია ოპერაში.

**თარაზულად:** 5. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. დონ-კიხოტის გვარი; 10. ფალსიფიცირებული ღვინის სახელწოდება ძველად საქართველოში; 11. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. შოკოლადის ხე; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სატყორცნი ფეთქებადი ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუმფარა; 2. სელი; 3. მეგრე; 4. არმაზი; 6. დინდგელი; 9. ვექილი; 13. სექვოია; 14. ნუსხური; 15. ბისტრო; 17. გერმა; 18. დიეზი; 20. ლეკი.

**თარაზულად:** 1. დასლერი; 5. შოუდუ; 7. თემშარა; 8. მელიავა; 10. თავნი; 11. რამპა; 12. მექისე; 16. ჯუნგლი; 17. განდი; 19. ქაჯი; 21. უტზონი; 22. ემბაზი; 23. ბორანო; 24. სირაჯი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კონკური; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. სინოპეკი; 7. კონდიტერი; 8. ფრეჟიუსი; 12. ნატამალი; 14. ესტაკადა; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. კები; 20. ბრნო.

**თარაზულად:** 5. მონამეთა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. ესქილე; 18. წყალი; 21. ზავენტემი; 22. უიარაღო; 23. ფილიპსი.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

**ახალი თაობა**

akhalitaoba.ge

12 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6684

ევრო — 2.8752

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3531

100 რუსული რუბლი — 2.9332

## ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვარაცხელიამ შესაძლოა ბრაგასთან არ ითამაშოს



ნაპოლის ქართველმა ფორვარდმა ხვიჩა კვარაცხელიამ შესაძლოა ბრაგას წინააღმდეგ არ ითამაშოს, რადგან მას გრიპი აქვს და ის გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს.

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაცარიმ თქვა, რომ ბრაგასთან ის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს და ხვიჩა, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი იქნება. ბოლო შეხვედრებში კვარაცხელიამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და მას უკვე ხშირად აკრიტიკებენ.

## ხავი: „ჟირონამ შეცდომების გამო დაგვსაჯა“



ბარსელონა საკუთარ მოედანზე ჟირონასთან დამარცხდა 2:4 და ხავის გუნდისთვის სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა, რადგან ჟირონა პირველ ადგილზეა და ბარსელონას უკვე 7 ქულით უსწრებს.

ხავის აზრით, მის გუნდს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ მათ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვეს:

– ჟირონამ შეცდომები არ გვაპატია და მათ თავიანთი შანსები უკეთესად გამოიყენეს. შეტევაში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ცუდი შედეგი მივიღეთ.

## ერიკ ტენ ჰააგი: „მანჩესტერს შეუძლია, კრიზისი დაძლიოს“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია კრიზისის დაძლევა და მას იმედი აქვს, რომ მუშაობის შანსი მიეცემა, რომ პრობლემები მოაგვაროს:

– მესმის, რომ გულშემატკივრების რაღაც ნაწილს ჩემი წასვლა სურს, თუმცა, მე კიდევ მჭირდება დრო და მინდა, რომ მანჩესტერ იუნაიტედს ძველი დიდება დავუბრუნო. ჩვენ უნდა გვჯეროდეს წარმატების და ის აუცილებლად მოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## თენგიზ მუშკუდიანს ხსოვნის საღამო მიეძღვნება



ოპერის მომღერალს, სახალხო არტისტს, თენგიზ მუშკუდიანს თბილისის კონსერვატორიაში გაიხსენებენ.

15 დეკემბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ოპერის მომღერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო არტისტები თემურ გუგუშვილი და ელდარ გეწაძე, ასევე თენგიზ მუშკუდიანის აღზრდილები ოთარ კუნჭულია, სულხან გველესიანი, ლევან მაკარიძე, ლევან ტაბატაძე, ზვიად ხუხუა. კონცერტზე იმღერებენ თენგიზ მუშკუდიანის აღზრდილის, ოპერის მომღერლის გოჩა დათუსანის სტუდენტები. მსახიობისა და მომღერლის ხსოვნის საღამოზე დასწრება ნებიმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## რეზო ჩხეიძე დიდუბის პანთეონში გაიხსენეს



რეჟისორი რეზო ჩხეიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაიხსენეს.

ხელოვანის 97-ე დაბადების დღეზე მის საფლავთან საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები შეიკრიბნენ. დასის მეთაურის, პროფესორ გოგი დოლიძის ინიციატივით, რეზო ჩხეიძის საფლავთან ერთობ მოკრძალებული ფორმით, მაგრამ ტრადიციული პატივისცემით აღნიშნა კინემატოგრაფის აღიარებული დიდოსტატის დაბადების 97-ე წელი და ერთგვარი განაცხადიც გააკეთა მოახლოებულ საუკუნოვან თარიღზეც.

– იმედია, რეზო ჩხეიძის დაბადების 100 წლისთავი ევროპულ საქართველოში ისეთი ღირსებით ჩატარდება, როგორც ჩვენს ქვეყანასა და მის სახელოვან შვილებს შეეფერება, – განაცხადა გოგი დოლიძემ.

## რეპრესირებული მწერლების მუზეუმით ვარშავაში დაინტერესდნენ




პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროპული მეხსიერებისა და ცნობიერების პლატფორმის ყოველწლიური საბჭოს შეხვედრა და საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, სადაც საქართველოდან რეპრესირებული მწერლების მუზეუმი იყო წარდგენილი.

„მეხსიერება, როგორც აწმყოს გაგების გასაღები“ – ასე ერქვა შეხვედრას და მასში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მწერალთა სახლის მუზეუმების სტრატეგიული განვითარების მენეჯერმა ელინა ვალაიტემ წარადგინა რეპრესირებული მწერლების მუზეუმი.

ევროპული მეხსიერებისა და ცნობიერების პლატფორმის საბჭოს გადაწყვეტილებით, რეპრესირებული მწერლების მუზეუმს პლატფორმის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. წლევანდელი საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრას პლატფორმის 48 ევროპული და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინსტიტუციური წარმომადგენელი ესწრებოდა. საერთაშორისო კონფერენციისა და ევროპული მეხსიერებისა და ცნობიერების პლატფორმის ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზატორი და მასპინძელი ორგანიზაცია იყო პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი. ევროპული მეხსიერებისა და ცნობიერების პლატფორმა საერთაშორისო არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დაფუძნდა. პლატფორმა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მხარდაჭერით 2011 წლის 14 ოქტომბერს პრაღაში შეიქმნა, 20 დამფუძნებელი წევრის მიერ ევროკავშირის 12 წევრი ქვეყნიდან. ამჟამად პლატფორმა აერთიანებს 68 საჯარო და კერძო ინსტიტუტსა და ორგანიზაციას 23 ქვეყნიდან - ევროკავშირის წევრი 15 ქვეყნიდან (ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი), ალბანეთი, კანადა, საქართველო, ისლანდია, მოლდოვა, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო და აშშ. პლატფორმის მიზანია კვლევების განხორციელება და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტის მეშვეობით ტოტალიტარული რეჟიმის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## გიორგი მასხულია: „წლებია, ბულინგის ქარცეცხლში ვარ“



დიზაინერი გიორგი მასხულია არ მალავს, რომ უკვე წლებია ბულინგის მსხვერპლია:

– მთელი წლებია, ბულინგის ქარცეცხლში ვარ და ვუმკლავდები ამ გაავებულ ხალხს მაინც. მაშინ მეც ვუჩივლებ ბევრს და აგონ პასუხი, თუ მეც „ოცნებისტი“ უნდა ვიყო მაინცდამაინც... არასდროს არცერთ პარტიაში არ ვყოფილვარ და არც ვიქნები, მაგრამ მიკერძოებული ჩივილები არაა საჭირო, რამდენჯერ დამაზარალა როგორც კარიერულად, ასევე პირადში და ჩემს ბიზნესში არასწორმა ადამიანების ბულინგმა.

და ჩემზე წლები იყო ზეწოლა. ამოიღო რომელიმემ ხმა? არა.

## რამაზ ჩხიკვაძის 95 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნება




თეატრისა და კინოს ვარსკვლავის რამაზ ჩხიკვაძის 95 წლის იუბილე მის მშობლიურ რუსთაველის ეროვნულ თეატრში აღინიშნება.

18 დეკემბერს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე მსახიობისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, რეჟისორები, სხვადასხვა თეატრის წარმომადგენლები...

რამაზ ჩხიკვაძის საიუბილეო საღამოზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

## ზვიად ბოლქვაძე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელია



დირიჟორი და კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე ახალ თანამდებობაზე დაინიშნა. იგი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ზვიად ბოლქვაძე ამ თანამდებობას მომდევნო წლიდან ჩაიბარებს. ხელოვანი ახალ თანამდებობაზე აჭარის განათლების მინისტრმა წარადგინა.

როგორც მაია ხაჯიშვილმა განაცხადა, მუსიკალური ცენტრის კონცეპტუალური განვითარება და ხედვები იცვლება, ამიტომაც საჭიროა სიახლეები. ზვიად ბოლქვაძე მრავალ ჟანრში მოღვაწეობს, არის ცნობილი კომპოზიტორი, ავტორ-შემსრულებელი, დირიჟორი და არანჟირებების ავტორი, ამიტომაც მისთვის ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც თავს დიდი წარმატებით გაართმევს.

## „წინანდლის პრემიამ“ საუკეთესოები დააჯილდოვა




ზურაბ ჟვანიას ფონდმა „წინანდლის პრემია 2023“-ის გამარჯვებულები ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში გამოავლინა და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

„წინანდლის პრემია“ მიენიჭათ: თეატრალური ხელოვნება – ნიკოლოზ ბაქრაძე, კინოხელოვნება – სანდრო სამხარაძე, პროზა – მათე ბალაშვილი, პოეზია – პაპუნა ფირცხალაიშვილი, მუსიკალური ხელოვნება – გიორგი კობერიძე, ჰუმანიტარული მეცნიერებები – გიორგი ჯღარკავა, სახვითი ხელოვნება – მიშიკო სულაკაური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – ქეთევან კოტორაშვილი. „წინანდლის პრემიის“ ლაურეატები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ჯილდოებით, სპეციალური პრიზებითა და 4.000-ლარიანი ფულადი პრემიებით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სპეციალური პრიზი „საუკეთესო ნომინანტი“ გადაეცა ანი ბალიაშვილს. „ბოდი შოპის“ სპეციალური პრიზი „საუკეთესო ნომინანტი“ გადაეცა ქეთევან კოტორაშვილს. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სპეციალური პრიზები გადაეცათ ახალგაზრდა მეცნიერებს: ეთერ მაღრაძეს, ალექსანდრე ღურჭუმელიას, მარიამ ალბექიონს, სალომე მჭედლიძესა და გიორგი ხომერიკს.

„წინანდლის პრემია 2023“ ხორციელდება ზურაბ ჟვანიას ფონდის ორგანიზებით.

წინანდლის პრემიის დაჯილდოებაზე ახალგაზრდა მსახიობი სანდრო სამხარაძე კინოხელოვნების კატეგორიაში სერიალში „ხელოვნური სუნთქვა“ განსახიერებული როლისთვის დაჯილდოვდა. მან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები შეამჩნიონ, განსაკუთრებით დღეს, როცა ხელოვნება ცენზურის ქვეშ არის და ასეულობით ხელოვანი ბოიკოტშია. ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია, ვმობილიზდეთ ყველა და მოვემზადოთ, მე მჯერა, რომ კანდიდატის სტატუსს მოგვცემენ. მე მგონია, რომ ყველა პლატფორმა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ამაზე ვილაპარაკოთ, ეს მოვთხოვოთ ხელისუფლებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამაგიეროს გადახდა; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3, პოლიტიკური პარტია საქართველოში; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 6. ბაქტერიების მშთანმთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ძველებური ბასრწვერიანი სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 17. შვედური ავტომობილი; 18. სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი; 20. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. გემთმშენებელი საწარმო; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 8. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 10. ტროპიკული ხილი; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა ან კაოლინი; 17. ბრიტანული არაყი; 19. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 23. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 24. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა